საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
№ 89
(11 238)
10 – 12 ნოემბერი, 1998 წ. ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ანტირუბრიკა: ყველაფერი საუკეთესო – ფულიანებს!

# იყიდება ქართული სპორტი, იყიდება ნაწილ-ნაწილ...


თედორე გურგენიძე

**საქართველოში რეფორმების პროცესი, როგორც დრო და მოვლენები გვიჩვენებს, შეუქცევადია. ახლა მისი ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილის, სახელმწიფო ქონების პრივატიზების მეორე ეტაპი დადგა. რაც შედარებით ფართო მასშტაბს გულისხმობს და, თქვენ წარმოიდგინეთ, სპორტულ ბაზებსაც მოიცავს. „ლელო" მოვლენებზე ოპერატიულად რეაგირებს და ირკვევა, რომ მოსახლეობის ფართო მასებს ვერც კი წარმოუდგენიათ, მაგალითად, გაიყიდოს ისეთი ეროვნული მნიშვნელობის სპორტული კერები, როგორიცაა ბ. პაიჭაძის სახელობის სტადიონი, თბილისის სპორტის სასახლე და ა.შ. ალარაფერს ვამბობთ შედარებით პატარა ბაზებზე. ვთქვათ პირდაპირ: სპორტული ბაზების გაყიდვა ხომ ქართული სპორტის გაყიდვაა და მისთვის საფუძვლის გამოცლაა.**

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა ქონების მართვის სამინისტროდან მიიღო ვრცელი ნუსხა იმ სპორტული ბაზებისა, რომლის გასხვისება სახელმწიფოს გადაუწყვეტია. სპორტის დეპარტამენტში, ცხადია, მტკივნეულად განიცადეს ასე ხელაღებით კერძო საკუთრებაში სპორტული ბაზების გადაცემის შესაძლებლობა და დაუყოვნებლივ გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯი – გადახალისდა და გაფართოვდა სპორტის დეპარტამენტთან არსებული პრივატიზაციის პროგრამის შემმუშავებელი კომისიის შემადგენლობა. კომისიას ახლა სათავეში ჩაუდგა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე თედორე გურგენიძე.**

● *ბატონო თედორე, კომისია დაუყოვნებლივ შეიკრიბა, ჩატარდა პირველი სხდომა, როგორია საერთო სურათი?*

– პირდაპირ გეტყვით, საერთო სურათი მძიმეა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ქვეყანაში სპორტი საჭირო აღარ არის, ზედმეტი ტვირთია და მისი თავიდან მოცილება სურთ.

● *ნუთუ ეს ჩვენს ეროვნულ ინტერესებშია?*

– ცხადია, არა, ვისაც გინდათ ჰკითხეთ – ასიდან ასივე გეტყვით, რომ სპორტი და საქართველო ურთმანეთოდ წარმოუდგენელია, მაგრამ გარდაქმნისა და რეფორმის ლოგიკით, როგორც ხედავთ, სულ სხვა გამოდის, სიტყვა სხვაა, საქმე – სხვა.

● *სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, ვალდებულია მიხედოს ამ საქმეს, მაგრამ, რამდენადაც ვიცით, კანონები მაინც თავისას ითხოვს, გიჭირთ ბრძოლა?*

– მართალი ხართ, მაგრამ ჩვენ ჩვენსას მაინც ვცდილობთ, ვცდილობთ კი არა, იგივე კანონიერი გზებით მაინც მივაღწევთ, რომ ბავშვებს არ მოვუსპოთ ჰარმონიულად განვითარების შესაძლებლობა, ე.ი. საქართველოს აღზარდოს ჯანსაღი თაობა. არადა, ყველაფერი საწინააღმდეგო მიმართულებით მიდის.

● *თქვენ ბრძანეთ, რომ კანონიერი გზებით ჩვენსას მაინც მივაღწევთო, რა გაქვთ მხედველობაში?*

– სახელმწიფო ქონების გასხვისების რამდენიმე ფორმა და მიმართულებაა, რატომ მაინცდამაინც უარესი, ანუ მთლიანად კერძო სექტორში გადაცემის გზა უნდა ავირჩიოთ?

● *კი მაგრამ, რითაა ცუდი კერძო სექტორი, კანონი სპორტის შესახებ ხომ ითვალისწინებს სპორტული ბაზის პროფილის შენარჩუნებას?*

– სპორტის კანონში ეს მუხლი არ შეცვლილა, მაგრამ გამოვიდა სხვა კანონები, რომლებიც ამ მუხლს აბათილებს, სხვა კანონმდებლობა, რომლებიც უშუალოდ ამ საკითხებს სამართებლივად არეგულირებენ, განსხვავებულია.

● *როგორ, ჩოგბურთის კორტები მარჯანიშვილზე, დახურული საცურაო აუზი და თბილისის სხვა სპორტული ბაზები პროფილს შეიცვლის?*

– არა, იმას არ

იხ. მე–2 გვ.

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
## I ჯგუფი XIII ტური

ვიტ-ჯორჯია (თბილისი) – თსუ 0-1
დინამო (ბათუმი) – კოლხეთი-1913 (ფოთი) 2-1
დილა (გორი) – სამგურალი (წყალტუბო) 0-1
გურია (ლანჩხუთი) – დინამო (თბილისი) 0-1
ლოკომოტივი (თბილისი) – გორდა (რუსთავი) 0-0
ოდიში (ზუგდიდი) – არსენალი (თბილისი) 1-2
იბერია (სამტრედია) – სიონი (ბოლნისი) 1-2
ტორპედო (ქუთაისი) – მერანი-91 (თბილისი) 2-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. (-) |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბილისი) | 12 | 9 | 3 | 0 | 37-7 | 30 (-6) |
| ტორპედო (ქუთაისი) | 13 | 9 | 2 | 2 | 31-13 | 29 (-10) |
| კოლხეთი-1913 (ფოთი) | 12 | 7 | 2 | 3 | 29-16 | 23 (-13) |
| დინამო (ბათუმი) | 13 | 6 | 5 | 2 | 21-11 | 23 (-16) |
| ლოკომოტივი (თბ.) | 13 | 5 | 8 | 0 | 15-5 | 23 (-16) |
| დილა (გორი) | 13 | 6 | 3 | 4 | 18-14 | 21 (-18) |
| იბერია (სამტრედია) | 13 | 5 | 1 | 7 | 23-28 | 16 (-23) |
| არსენალი (თბილისი) | 13 | 4 | 4 | 5 | 17-23 | 16 (-23) |
| სიონი (ბოლნისი) | 13 | 4 | 2 | 7 | 15-28 | 14 (-25) |
| ოდიში (ზუგდიდი) | 13 | 4 | 1 | 8 | 10-23 | 13 (-26) |
| სამგურალი (წყალტ.) | 13 | 4 | 1 | 8 | 12-27 | 13 (-26) |
| გორდა (რუსთავი) | 13 | 2 | 7 | 4 | 7-8 | 13 (-26) |
| მერანი-91 (თბილისი) | 13 | 2 | 7 | 4 | 7-13 | 13 (-26) |
| თსუ | 13 | 3 | 3 | 7 | 12-18 | 12 (-27) |
| ვიტ-ჯორჯია (თბ.) | 13 | 4 | 2 | 7 | 13-15 | 11 (-28) |
| გურია (ლანჩხუთი) | 13 | 3 | 1 | 9 | 14-32 | 10 (-29) |

*შენიშვნა: „ვიტ-ჯორჯიას" დაკლებული აქვს სამი ქულა.*

**მორიგი, XIV ტურის მატჩები გაიმართება 14, 15 და 16 ნოემბერს, მანამდე კი, 11 ნოემბერს საქართველოს თასის პირველი მერვედფინალური შეხვედრებია – განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თბილისური დერბი: დინამო – ლოკომოტივი.**

## ვეტერანი კალათბურთელებიც აღშფოთდნენ! დაუშვით ჩაქუჩიანი ხელი!

გამოძახილი



ვეცნობით „ლელოს" ფურცლებზე ატეხილ განგაშს თბილისის სპორტის სასახლის შესაძლო გაყიდვის თაობაზე, და სიმართლე გითხრათ, დაუჯერებლად მიგვაჩნია. არადა, შეშფოთების სერიოზული საფუძველი მართლაც ყოფილა. ბოლომდე არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ქვეყანას ისე გაუჭირდა, სპორტული ბაზების გაყიდვა დაიწყო. ანდა, რა გარდაქმნა თუ რეფორმა და რა პროგრამაა ისეთი, რომ ხალხის, სპორტსმენების, ქვეყნის ერთადერთი სპორტული სასახლის აუცილებლად შეწირვას მოითხოვს. არა გვგონია, სხვა გამოსავალი არ გამოიძებნოს. თბილისის სპორტის სასახლე მთელი ქვეყნისაა, მისი ახლანდელი და მომავალი თაობების საჩუქარია და ჩაქუჩიან ხელს ნუ აღვმართავთ აუქციონზე მის გასაყიდად!

ვეტერანი კალათბურთელები: ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ვლადიმერ უგრეხელიძე, ლევან ინწკირველი...

## მიხეილ ქორქია: „შეპირებები არ მიყვარს, მაგრამ დრომ ევროპამ გაგვიცნოს"


*მიხეილ ქორქია თუ ისეთივე გულმოდგინებით იღვაწებს ფეხბურთში, როგორც ის კალათბურთში ბრწყინავდა, არა მხოლოდ ქუთაისის, საერთოდ, ქართულ ფეხბურთში დატოვებს წარუშლელ კვალს.*

**ფინანსური კრიზისის გამო ქუთაისის „ტორპედო" რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, რითაც ჩემპიონატის [illegible] ერთი ფავორიტი ლამის [illegible] გუნდად იქცა. მაგრამ მას ახალი პრეზიდენტი გამოუჩნდა ცნობილი კალათბურთელი მსოფლიოს ორგზის და მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მიხეილ ქორქია.**

● *ბატონო მიხეილ, თქვენ კვლავ დაუბრუნდით მშობლიურ ქუთაისს, ოღონდ, ახალ ამპლუაში...*

– თავად არ ველოდი, ისე თბილად დამხვდა ქუთაისის საზოგადოება. ქალაქის მერმა მელქაძემ და იმერეთის მხარის გუბერნატორმა შაშიაშვილმა თანამშრომლობა, თანადგომა აღმითქვეს. ვფიქრობ, ერთიანი ძალისხმევით შევძლებთ ქუთაისს ვაჩუქოთ ისეთი მაღალი დონის გუნდი, როგორც ქუთათურებს ეკადრებაო.

● *ტორპედო-მერანის მატჩის შემდეგ რა შთაბეჭდილება შეგექმნათ თქვენს გუნდზე?*

– ფინანსური კრიზისის გამო, ფეხბურთელებს ენთუზიაზმის ხარჯზე უხდებოდათ თამაში. ასეთ პირობებში ძნელია მათ რამე მოსთხოვო. ისე კი, ვგრძნობდი, რომ ბიჭები ამ თამაშში მთლიანად დაიხარჯებოდნენ, რათა ახალი პრეზიდენტისთვის თავიანთი პოტენცია ეჩვენებინათ. დიდი მადლობა მათ ამისთვის, მე ძალიან ნასიამოვნები დავრჩი.

● *ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში ხშირია შემთხვევები, როცა ესა თუ ის კლუბი უცებ მომძლავრდება, მაგრამ ფინანსური კრიზისის გამო ასევე უცბად რეგრესის გზას დაადგება...*

– ჩემს უკან ძალიან ძლიერი ფირმები დგას, რომლებსაც ახლა შეგნებულად არ ვასახელებ. ასე რომ, „ტორპედოს" გულშემატკივარს ნუ შეეშინდება, ყველაფერი კარგად იქნება. შეპირებები არ მიყვარს, მაგრამ დრომ ევროპამ გაგვიცნოს.

● *გმადლობთ, იმედია, ჟურნალისტებთან თქვენი უშუალო ურთიერთობა კვლავ გაგრძელდება...*

– აუცილებლად, მხოლოდ სიმართლე ვილაპარაკოთ და მხოლოდ სიმართლე ვწეროთ.

მიხეილ ჟორჟოლიანი,
ქუთაისი

## ქუთათურთა სპორტული მატიანე

რუბრიკას უძღვება ზურაბ ჯაპახაძე



# ბურთაობა ძველ ქუთაისში

მეშვიდე წერილი

რიონისპირა ქალაქის მრავალსაუკუნოვან მდიდარ სპორტულ ცხოვრებაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ბურთაობას ეკავა. უძველესი წერილობითი წყაროები, რომლებიც სპორტის ამ საინტერესო სახეობას ეხება, დათარიღებულია მე-17 საუკუნით. ჩვენამდე მოაღწია ცნობილი იტალიელი მოგზაურის და მისიონერის კასტელის მიერ შესრულებულმა ჩანახატებმა, [illegible] შორის საყურადღებო[illegible] ცხენბურთის თამაში ქუთაისში, სურათს ავტორისეული ხელით აქვს წარწერა: „როდესაც ქუთაისში ჩავედი, სადაც ქართველთა მეფე ცხოვრობდა, პატივით მიმიღეს და მიჩვენეს ბურთით თამაში, რომელშიაც მონაწილეობდა მეფე, ბევრი მაღალი თანამდებობის კაცთან ერთად" სურათზე ჩანს ოთხი ცხენოსანი ცხენზე ამხედრებულნი, ჩოგნებით ხელში. გაჭენებულ ცხენიდან ერთი მობურთალი გადაწოლილა ცხენს და ჩოგნით ცდილობს ბურთის აღებას. ყველაფერს წყვეტდა სისწრაფე, სიმარდე და ოსტატობა.

რაც შეეხება იმერეთის მეფის მონაწილეობას ცხენბურთის თამაშში, სრულებითაც არ არის გასაკვირი, რადგან პატარა უფლისწულები ისეთ მკაცრ ფიზიკურ, გონებრივ და სულიერ წრთობას გადიოდნენ, რომ სამაგალითონი იყვნენ თანამემამულეებისათვის.

1651 წელს იმერეთის სამეფო კარს მოსკოვის მთავრის ალექსი მიხეილის ძის ელჩები ტოლოჩანოვი და იევლიევი ესტუმრნენ, ქვეყნის გვირგვინოსანმა ალექსანდრე მესამემ საპატიო სტუმრები „ოქროს ჩარდახში" მიიღო. მ. ტოლოჩანოვი წერს: „როდესაც ჩვენ ალექსანდრე მეფესთან მივდიოდით, ელჩობაზე, იმ დროს სამასამდე მეციხოვნე იდგა და ისროდა, როდესაც თოფიდან გაისროლეს, შემდეგ ორივე ციხის ზარბაზნებიდან დაიწყეს სროლა ზედა და



*კასტელი. ყაბახი ქუთაისში*

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 80,82-85

იხ. მე–3 გვ.

## დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოში ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისა და ვეტერან ფეხბურთელთა მოძრაობაში აქტიური მოღვაწეობისათვის სპორტის ოსტატი ***ნიკოლოზ ცაგარეიშვილი*** დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

## კარგად კი დაიწყეს, მაგრამ...

იტალიის ქალაქ რეჯიო დი კალაბრიაში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი მინი-ფეხბურთში. ამ შეჯიბრებაში ასპარეზობს საქართველოს ნაკრებიც. ჩვენებმა წარმატებით ჩაატარეს პირველი შეხვედრა და დაამარცხეს ფრანგები ანგარიშით 8-4. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებმა წააგო მეორე მატჩი – მასპინძლებთან 2-5. ამრიგად, პირველ ადგილზე გავიდნენ იტალიელები, რომლებმაც ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვეს, ჩვენები კი ტურნირს გამოეთიშნენ.

# იყიდება ქართული სპორტი, იყიდება ნაწილ-ნაწილ...

(პირველი გვერდიდან)

ვამბობ, რომ ეს ერთბაშად მოხდება, მაგრამ მეპატრონემ სპორტი უეცრად რომ მოიძულოს, ბევრ პრობლემებს შექმნის.

● *ჰოდა, თუკი ასეთი მაგალითებია, ახლა სპორტის სასახლე ჩადგა რიგში? ახლა თქვენთან პირდაპირ რედაქციიდან მოვედით, დაუფარავად გეტყვით, აღშფოთებული ხალხი რეკავს და გვეკითხება, ნუთუ მართლა კერძო პირებს ჩაუგდებენ ხელში სპორტის სასახლეს? ზემოთ თქვენ ახსენეთ სპორტული ბაზების შენარჩუნების კანონიერი გზები, კონკრეტულად გვითხარით, რას გულისხმობდით?*

– იგივე კანონი, მაგალითად, ითვალისწინებს, რომ ქონება შეიძლება კოლექტივს იჯარით გადაეცეს, ანდა, უკეთესი – შეიქმნას სახაზინო საწარმო. ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ სპორტული ბაზები კი არ გაიყიდოს, არამედ, გადაიქცეს სახაზინო საწარმოდ და გააგრძელონ თავიანთი ფუნქცია. არის სხვა მიდგომაც, მაგრამ კონკრეტული ბაზის საკითხს კონკრეტულად განვიხილავთ, ავწონ-დავწონით, კანონი საერთო საქმის სასარგებლოდ რომელს როგორ უფრო უკეთ მიესადაგება, ცხადია, გავითვალისწინებთ შრომითი კოლექტივის აზრს.

● *ალბათ მხოლოდ თბილისს არ გულისხმობთ?*

– არა, რა თქმა უნდა. სხდომაზე გადავწყვიტეთ კომისიის წევრები მივავლინოთ რაიონებში, ნახონ რა მდგომარეობაა საპრივატიზაციო ობიექტებზე, გაეცნონ იქაურ თანამშრომელთა აზრს, მათ მატერიალურ შესაძლებლობებს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიტანთ დასკვნებს.

● *კი მაგრამ, თუ სპორტული ბაზა საუწყებოა, ვთქვათ, რკინიგზისაა?*

– ეს სულ ერთია. ის მაინც სახელმწიფო ქონებაა, ჩვენ კი უმაღლესი სახელმწიფო ორგანო ვართ ამ სფეროში და ვალდებული ვართ დავიცვათ სახელმწიფო ინტერესები, რაც, ცხადია, მოსახლეობის, განსაკუთრებით მოზარდთა გაჯანსაღებას, მათ ფიზიკურ განვითარებას, თაობათა ჰარმონიულ აღზრდასაც გულისხმობს.

● *მაგრამ, დღეს ის დრო დაგვდგომია, როცა ერთ დროს ცნობილი დევიზი – „ყველაფერი საუკეთესო – ბავშვებს" შეუცვლია დევიზს „ყველაფერი საუკეთესო – ფულიანებს!".*

– მოდით, ამ თემას უფრო ვრცლად შევეხოთ. არსებობს ქვეყანაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც პრეზიდენტმა მოიწონა და გზა დაულოცა. რომელ პროგრამაზე და ჯანსაღი ცხოვრების რომელ წესზეა ლაპარაკი, როცა თურმე ნაძალადევში რკინიგზელთა ის სპორტული დარბაზი, სადაც ჩემპიონთა თაობები აღიზარდა და ახლა სპორტულ სექციებში, როგორც გვითხრეს, 2.500-მდე მოზარდი მეცადინეობს, გასაყიდი ობიექტების სიაში შეუტანიათ, ეს ხომ აბსურდია. რატომ არავინ უფიქრდება იმას, რომ თუ დარბაზი გაიყიდა, ის ათასობით მოზარდი ქუჩაში გავა და ცხოვრების არაჯანსაღი წესის მსხვერპლი გახდება. ეს არ შეიძლება არ გვაშფოთებდეს...

– გვაშფოთებს კიდეც. აკი გითხარით, ჩვენი ამოცანაა დავიცვათ სპორტის ინტერესები, სპორტი კი უბაზებოდ იგივეა, რაც უწყლობით ამომშრალი მდინარის კალაპოტი. გვერწმუნეთ, ყველაფერს ვიღონებთ, რომ ქართული სპორტი გადავარჩინოთ, მით უფრო თამამად ვამბობთ ამ სიტყვებს, რომ მთელი საზოგადოებრიობა ჩვენს მხარეზეა.

ესაუბრა თენგიზ გაჩეჩილაძე

ალმზრდელები

# ...ÅÃÎ, ÅÃÎ ÎÒÅÖ ÒÎÆÅ ÁÎÐÎËÑß

(კინოფილმ „ჯარისკაცის მამადან")



გურამ რატიშვილი

ქართველ ფალავნებს მრავალგზის უსახელებიათ თავი და სამშობლოს სხვადასხვა რანგის შეჯიბრებში. ცხადია, სპორტსმენებთან ერთად ამ წარმატებებში დიდია მწვრთნელების, მეთოდისტების, მეცნიერ-მუშაკთა და, თუ გნებავთ, ფუნქციონერთა წვლილი.

დღეს წარმოგიდგენთ პიროვნებას, რომელსაც კარგად იცნობს ჭიდაობის სამყარო და, რომლის, როგორც მეცნიერის მწვრთნელთან და სპორტსმენთან თანადგომას, არაერთი ფალავნისთვის მოუტანია დიდი წარმატება. ეს ადამიანი გახლავთ პროფესორი გურამ რატიშვილი, რომელიც ამჟამად საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში მუშაობს ჭიდაობის კათედრის გამგედ, არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და ეროვნული ნაკრების მეცნიერ-კონსულტანტი. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

● *ბატონო გურამ, საქმე, რომელსაც მთელი ცხოვრება ემსახურებით, როგორ და როდის „შემოიჭრა" თქვენში?*

— 1950 წელი იყო. მოსკოვში ვცხოვრობდი, ქართულ საჭიდაო სკოლას უკვე საკმაოდ იცნობდა ყველა მთელ კავშირში. ვგრძნობდი, რომ გული ხალიჩისკენ მიმიწევდა. ჭიდაობა, როგორც იტყვიან, სისხლში ჰქონდა გამჯდარი ჩვენს ჯილაგს. პაპაჩემი განთქმული მოჭიდავე იყო, პაპის მამაც — გორელი იაკობ ეგნატაშვილი, რომლის სახელობის პრიზი ერთხანს თამაშდებოდა კიდეც ქართულ ჭიდაობაში. ბიძაჩემიც ჭიდაობდა. ჩემთვის არავის დაუძალებია, თავად მოვიწადინე. ერთხელ გადავწყვიტე და... იყო ასეთი მწვრთნელი, ცნობილი კაცი, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი და დამსახურებული მწვრთნელი ლუკიანოვი. მოვეწონე, თანაც ეროვნება რომ გაიგო, ლამის აქეთ შემევედრა მევლო ჭიდაობის სექციაში.

● *წარმატება მალე მოვიდა?*

— ორ წელიწადში. 1952 წელს მოსკოვის ჩემპიონატის პრიზიორი გავხდი, 1953 წელს — ჩემპიონი. იმავე წელს სსრკ პირველობაზე გამიყვანეს და IV ადგილი დავიკავე.

● *ქართველებთან თუ გიჭიდავიათ?*

— როგორ არა. იმავე, 1953 წელს სსრკ პირველობაზე, პირველსავე წრეში, შევხვდი საქართველოს წარმომადგენელს თენგიზ კიკნაძეს. კარგი მოჭიდავე იყო, ძლიერი. მაშინ, საერთოდ, ასე იყო, ყველა მოჭიდავე საქართველოდან ძლიერი, გამორჩეული უნდა ყოფილიყო. მე და თენგიზი არ ვიცნობდით ერთმანეთს, პირველად ხალიჩაზე დავკარით ხელიხელს. მომიგო — 2:1.

● *მერე რა იყო?*

— სწავლას მივყევი. შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა, ჭიდაობის სპეციალობით.

● *ვიცით, რომ ჭიდაობაში თქვენ რამდენიმე ილეთი შეიმუშავეთ, სპეციალისტებს მოეწონათ და დაინერგა კიდეც...*

— არა, მთლად ასე არ არის. საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში ჩვენს კათედრაზე მუშაობდა პროფესორი ივანე ალიხანოვი, მასთან ერთად შევისწავლეთ და გავაანალიზეთ ე.წ. „ამოსმული", რასაც წარმატებით იყენებენ ძიუდოში, ჩვენვე დავამუშავეთ მისი შესწავლის მეთოდიკა. სხვა მე არანაირი ილეთი არ გამომიგონია. ისე, ვმუშაობდი აგრეთვე მოსკოვში საკავშირო კვლევით ინსტიტუტში, ჩართული ვიყავი სსრკ ნაკრების მზადებაში, — ვუწევდი მეთოდურ დახმარებას.

● *საკავშირო ნაკრებში ჩვენებიდან ვის მომზადებაში გაქვთ წვლილი შეტანილი?*

— 1972 წელს, მიუნხენის ოლიმპიური თამაშებისთვის ძიუდოისტთა დახმარება მე დამავალეს. ნაკრებში ბევრი ქართველი შედიოდა. შოთა ჩოჩიშვილიც, ასე ვთქვათ, ერთ-ერთი შეგირდი იყო. მაშინ ჩოჩიშვილმა სასწაული მოახდინა — მსოფლიო ჩემპიონს, ლეგენდა-ფალავანს, თვით სასაჰარას სძლია. ამ იაპონელს უწინასწარმეტყველებდნენ ოლიმპიურ ჩემპიონობას, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე კი ავიდა მანამდე სრულიად უცნობი გორელი ბიჭი — შოთა ჩოჩიშვილი გახდა ოლიმპიური თამაშების ამ ახალი სახეობის ჩემპიონი.

● *დღეს, რას იტყვით, ისევ ინარჩუნებს საქართველო ფალავანთა ქვეყნის იმიჯს?*

— ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ არის და ხსნა შეიძლება, ჩემი ღრმა რწმენით, უნდა გავაასკეცოთ ქართული ჭიდაობისადმი ყურადღება. თუ სპორტის ეს ეროვნული სახეობა ჩვენში დაადგება აღმავლობის გზას, გჯეროდეთ, რომ ჭიდაობის არც ერთ საერთაშორისო სახეობას მასაზრდოებელი წყარო არ მოაკლდება.

● *ახლა ლაპარაკობენ, რომ თურმე გვქონია კიდევ ერთი ეროვნული საუნჯე — კოლხური ჭიდაობა, იცით რაიმე მის შესახებ?*

— სხვათა შორის, არა, არ ვიცი და ეს ჩემი ნაკლია.

● *თუ ეს ინფორმაცია სწორია, ალბათ კვლევის დაწყებაა საჭირო...*

— გეთანხმებით!

● *თქვენი სურვილი...*

— რა სურვილი უნდა ჰქონდეს საპენსიოდ გამზადებულ კაცს — გადავცე ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდებს, ესაა და ეს...

ესაუბრა
დათო კოდუა

ჭადრაკი  მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი

# ჩვენებიდან საგზური ვერავინ მოიპოვა

**კუნძულ კრეტაზე (საბერძნეთი) დამთავრდა მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი საქართველოს, სომხეთის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, თურქეთისა და ალბანეთის მოჭადრაკეების მონაწილეობით. მისი შედეგების შესახებ ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა დიდოსტატ ლაშა ჯანჯღავას.**

● *ლაშა, ამ მეტად მნიშვნელოვანი შეჯიბრების შესახებ ჩვენ ნაკლებად ვიყავით ინფორმირებული. ვიცით, რომ იგი მიმდინარეობდა შვეიცარიული სისტემით (9 ტურად) და 4 გამარჯვებული ფინალში გადიოდა. ამ სისტემით ჩატარებული ტურნირები ბევრ შემთხვევითობასთან არის დაკავშირებული, გარკვეული გაგებით ლატარიასაც კი ჰგავს.*



ლაშა ჯანჯღავა

– დავიწყოთ გამარჯვებულებით. პირველი-მეორე ადგილები 7-7 ქულით გაიყვეს ცნობილმა ბერძენმა დიდოსტატმა კოტრონიასმა, რომელსაც ადრეც ჰქონდა წარმატებები და ალბანელმა ოსტატმა ჩელიალტიმ...

● *გამოგიტყდებით, ეს სახელი პირველად მესმის...*

– ჩვენც, მონაწილეებიც იგივე დღეში ვიყავით, მაგრამ თუნდაც მოგროვილი ქულების რაოდენობით რომ ვიმსჯელოთ, იგი ურიგოდ არ თამაშობს – დიდ კონკურენციას გაუძლო.

● *რჩებოდა კიდევ ორი საგზური...*

– დიახ. III-VI ადგილები გაიყვეს იუგოსლოვიელმა დიდოსტატებმა ველიმიროვიჩმა, ჯურიჩმა, გია გიორგაძემ და, სრულიად მოულოდნელად ბერძენმა ოსტატმა ძერმინიადისმა. მათ 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს. ფინალში გავიდნენ ველიმიროვიჩი და ჯურიჩი, გიორგაძე კი კოეფიციენტების ცხრილით მეხუთეა.

● *აქვს თუ არა გიას ფინალში გასვლის შესაძლებლობა? იგი დეკემბერში მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში ნოკაუტ-სისტემით, გრონინგენში თამაშობდა...*

– ძნელი სათქმელია. იმ შემთხვევაში დაუშვებენ, თუ ვინმემ თამაშზე უარი განაცხადა.

● *ფინალისტებიდან ვის გამოყოფდით? მე პირადად გამიკვირდა, დრაგან ველიმიროვიჩის წარმატება. ადრე იგი შესანიშნავად თამაშობდა, მაგრამ უკვე 60 წელს გადასცილდა.*

– ახლაც ბრწყინვალედ, კომბინაციური სტილით, მეტად ლამაზად თამაშობს.

● *ჩვენს დანარჩენ მოჭადრაკეებზე რას იტყვით. ზურაბ სტურუა ხომ კარგა ხანს ლიდერთა ჯგუფში იყო.*

– საბოლოოდ იგი ფინიშზე ჩამორჩა. 6 ქულით დაამთავრა შეჯიბრება. ამდენივე ქულა მოაგროვა გია ბაღათურიამ, გენადი ზაიჩიკმა კი 5,5 ქულა. ჩვენი მოჭადრაკეებიდან თუ ვინმე უნდა გამოვყოთ, ეს პირველ რიგში ნატო ეძგვერაძეა, შეჯიბრებაში მონაწილე ერთადერთი ქალი. მან 5 ქულა მოაგროვა, უკვე მესამედ შეასრულა ქალთა შორის დიდოსტატის ნორმა, ეს წოდება მალე მიენიჭება, და, გარდა ამისა, ვაჟთა შორის საერთაშორისო ოსტატიც გახდა.

● *ჩინებული წარმატებაა, ნატოს უნდა მივულოცოთ.*

– 5 ქულით დაამთავრა შეჯიბრება მიხეილ მჭედლიშვილმა, 4,5 ქულა მოვაგროვეთ მე და ხვიჩა სუპატაშვილმა, 4-4 – დავით ლობჟანიძემ და დავით შენგელიამ.

● *თქვენ, ცხადია, შედეგით უკმაყოფილო ხართ.*

– დიდხანს ურიგო შედეგი არ მქონდა, მაგრამ ზაიჩიკთან მოსაგები პოზიცია წავაგე.

● *კიდევ რა შედეგის აღნიშვნა შეიძლება?*

– თამაშობდა იუგოსლავიის ჭადრაკის ლეგენდა, 75 წლის სვეტოზარ გლიგორიჩი. ამ ასაკში ამნაირ დაძაბულ და ძლიერ ტურნირში მონაწილეობა თავისთავად განსაკუთრებული მოვლენაა.

● *გამარჯვებულთა შორის არა ჩანან სომეხი დიდოსტატები, რომელთაც ამ ბოლო წლებში საკმაო წარმატებები აქვთ.*

– დიახ, ამჯერად მარცხი განიცადეს ლპუტიანმა, ვაჰანიანმა, მინასიანმა, ანასტასიანმა. აკოფიანი არ თამაშობდა, მას პირდაპირ ფინალში თამაშის პერსონალური უფლება აქვს.

● *ბოლო კითხვა. თქვენ ახლა სად აპირებთ თამაშს?*

– იანვარში, ლინარესის (ესპანეთი) საერთაშორისო ტურნირში.

ესაუბრა ბ. თორელი

## «ლელოს» ფოტომატიანე



50-იანი წლების პირველი ნახევარი. საქართველოს მოჭადრაკეთა ცნობილი მწვრთნელი ვიქტორ გოგლიძე თავის შეგირდებთან

## ჰიპერტონიასაც შველის

მომატებული არტერიული წნევა ანუ ჰიპერტონია ბევრს აწუხებს. ცხადია, მას მკურნალობენ ფარმაკოლოგიური საშუალებებით, მაგრამ გარკვეულწილად არანაკლებ ეფექტურია მასაჟი. მასაჟი უნდა გაკეთდეს მხოლოდ სხეულის იმ ნაწილების წერტილებზე, რომლებიც ნახატზეა აღნიშნული.



ჯანმრთელობის კუთხე

თერაპევტ ნინო აფაქიძის რედაქციით

ჩვენი საფეხბურთო კლუბები

# ● გაიხედეთ ანაგისკენ — იქ ქართული ფეხბურთის ყლორტი ნამოიზარდა! ● შსს აკადემიის გუნდი მალე ბევრს გააკვირვებს!

ალაზნის ველზე, შუაგულ ქიზიყში, სიღნაღსა და წნორიდან ოციოდე კილომეტრის მოშორებით მდებარეობს ლამაზი და კოხტა 1200-კომლიანი (5000 მაცხოვრებელი) სოფელი ძველი ანაგა. სწორედ აქ განვითარდა ის მოვლენები, რამაც, ამას წინათ, მთელი ქართული საფეხბურთო საზოგადოებრიობა აალაპარაკა. ჩვენს პუბლიკაციებში არაერთხელ გამოგვითქვამს სინანული, რომ ბოლო წლებში ქიზიყში ჩაკვდა ფეხბურთი. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა სიღნაღის „ცისკარი“, წნორის „ქიზიყი“, დედოფლის წყაროს „შირაქი“ საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ნებისმიერი გუნდისათვის „უხერხულ“ მეტოქეს წარმოადგენდა. თანდათან ამ გუნდების საქმე დაღმა წავიდა, მერე კი ისინი სულაც გაქრა, ვერ გაუძლეს რა მძაფრ ეკონომიკურ სიდუხჭირეს. მოიწყინეს სპორტის მოყვარულებმა, სხვა რა დარჩენოდათ — შურით შეჰყურებდნენ როგორ გამოდიოდნენ სხვადასხვა ასპარეზობებში მეზობელი რაიონების გუნდები, ვთქვათ, ლაგოდეხის „ჭაბუკიანი“: თუ ერთმა სოფელმა საფეხბურთო კლუბის შენახვა შეძლო, რითი ვართ მათზე უარესები?

და აი, წელს, როგორც იქნა, სიღნაღის რაიონშიც გამოჩნდნენ ჭეშმარიტი მამულიშვილები, ქართული ფეხბურთის აღორძინებით დაინტერესებული ადამიანები. მათი სახელი რაიონში დიდსა და პატარას პირზე აკერია. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა მეორე ჯგუფის აღმოსავლეთი ზონის ლიდერების „ლარწყალისა“ და „შსს აკადემიის“ გუნდების მატჩზე გავეშურეთ. ჯერ კიდევ წნორს რომ მივადექით, პირველივე გამვლელმა გვითხრა: „ჯო, ღვედაშვილთან მიდიხართ? ძალიან მაგარი კაცია, ფეხბურთის პროფესორია, იმიტომაც ყველა „ფეოლას“ ეძახის“.

დიახ, რაიონში მას ყველა ამ მეტსახელად იცნობს — დაწყებული თანასოფლელებიდან რაიონის გამგებლით — ფეხბურთის დიდი ტრფიალით ვაჟა ცაბუტაშვილით დამთავრებული. აი, როგორ დაგვიხასიათა რაიონის პირველმა პირმა საფეხბურთო კლუბ „ლარწყალის“ პრეზიდენტი ამირან ღვედაშვილი: „ეს კაცი ძლიერ დასაფასებელი პიროვნებაა, იშვიათი ნებისყოფისაა, თუ რაიმე დაისახა მიზნად, ქვას გახეთქავს...“

ძველი ანაგის სტადიონზე მისულებს სასიამოვნო სიურპრიზი გველოდა — 5 ათასამდე მაყურებელმა შეავსო მინდვრის გარშემო სახელდახელოდ მოწყობილი ტრიბუნები, ამაღლებული ადგილები. აბა, პირველი ჯგუფის რომელი გუნდი დაიკვეხნის ამდენი გულშემატკივრით, არადა, როგორც გვითხრეს, „ლარწყალის“ ყოველ საშინაო მატჩზე სტაბილურად დადის მაყურებლის ასეთი რაოდენობა.

**ლარწყალი (ძველი ანაგა) — შსს აკადემია (თბილისი) 0-0**

**_ლარწყალი:_ ხუციშვილი, შ. კობიაშვილი, ქენქაძე, გულაშვილი, გელაშვილი, შაიშმელაშვილი, ომანიშვილი, ელიზბარაშვილი (ცისკარაული, 85), შალვაშვილი, ტოკლიკიშვილი, გოლეთიანი.**

**_შსს აკადემია:_ ჩიჩიბაია, ჩადუნელი, დ. მარღიშვილი (კირვალიძე, 65), ვაშაკიძე, ბურდული, ბოგვერაძე, კოჩაძე, გ. ჯულელი, გ. მეტრეველი, ბახტაძე, მაზანაშვილი (გოგრიჭიანი, 63).**

**_გააფრთხილეს:_ ტოკლიკიშვილი, ბახტაძე, გოგრიჭიანი.**

**_მსაჯი:_ თამაზ ლორთქიფანიძე (თბილისი)**

ლიდერთა ეს შეხვედრა ორი განსხვავებული ტაიმისაგან შედგებოდა. პირველში მასპინძლები დომინირებდნენ, მეორეში — სტუმრები. „ლარწყალმა“ ახალი გუნდის კვალობაზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა — უყურებ ანაგელთა თამაშს და ასე გგონია, ორი-სამი თვის წინათ კახეთის სხვადასხვა რაიონიდან შეგროვილი ეს ბიჭები, თითქოს, 4-5 წელია ერთად თამაშობენ. თვალშისაცემია, რომ გუნდის ყველა რგოლში თავისი გამოკვეთილი ლიდერია: დაცვაში — შალვა კობიაშვილი, ნახევარდაცვაში — შენგელი შაიშმელაშვილი, თავდასხმაში — გელა ტოკლიკიშვილი.

რაც შეეხება სტუმართა კოლექტივს, რა ხანია ეს გუნდი პირველ ჯგუფში გადასასვლელად ემზადება და ამიტომ თბილისელთა გააზრებული თამაში არც იყო გასაკვირი. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს წინა ხაზის მოთამაშეებმა კობა კოჩაძემ და ერეკლე ჯულელმა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, პირველ ტაიმში სათამაშო უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. შესვენებაზე, ეტყობა, თბილისელთა გუნდის თავკაცმა ბესო მჭედლიშვილმა საჭირო კორექტივები შეიტანა შეგირდების სამოქმედო სქემაში, დროულმა შეცვლებმაც გაამართლა. ამიტომ იყო, რომ სტუმართა გუნდმა ხელთ იგდო სათამაშო უპირატესობა და რომ ცოტა იღბალსაც გადმოეხედა, „შსს აკადემია“ ძველი ანაგიდან 3 ქულასაც წამოიღებდა. ასე თუ ისე, ფრე მატჩის ლოგიკური შედეგი იყო და ამრიგად, სატურნირო ცხრილში სტატუს-კვო შენარჩუნებულია — პირველ ადგილზე კვლავ „აკადემიკოსები“ არიან, ისინი ქიზიყელებს ქულით უსწრებენ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თბილისელები თავიანთ ძირითად მეტოქეებს — „ლარწყალს“ და „ყვარელს“ მეორე წრეში შინ ეთამაშებ[illegible]ა ვივარაუდოთ, რომ გაისად პი[illegible] ჯგუფს კიდევ ერთი თბილისური [illegible]ნდი დაემატება.

**ლიდერთა მატჩის დამთავრებისთანავე გავესაუბრეთ „ფეოლას“ — სკ „ლარწყალის“ პრეზიდენტს ამირან ღვედაშვილს. ცხადია, პირველ რიგში, ის ვიკითხეთ, საიდან გაჩნდა გუნდის შექმნის იდეა და მისი სახელწოდება.**

— ბავშვობაში, ფეხბურთელის კარიერაზე ვოცნებობდი, სიღნაღის „ცისკარშიც“ წარმატებით ვთამაშობდი. სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, ფეხბურთის თამაშს თავი დავანებე, მაგრამ ყოველთვის ოცნებად მქონდა კარგი გუნდი შემექმნა. როგორც იქნა, მივაღწიე კიდეც ამას... რაც შეეხება თავად კლუბის სახელწოდებას, ლარწყალი, ძველი ანაგიდან რამდენიმე კილომეტრში მოჩუხჩუხე ღელეა. როცა ზაფხულში დიდი სიცხე დაიჭერს, იქ დავდივართ ხოლმე გასაგრილებლად.

● ***„ლარწყალის“ შექმნაში მთელი რაიონი გეხმარებოდაო, მითხრეს ფეხბურთელებმა. ხომ არ დააკონკრეტებდით?***

— ჩვენი წარმატებების თავიდათავი რაიონის პირველი პირი — ვაჟა ცაბუტაშვილია. მისი თანადგომა ბევრ რამეში გამოიხატება, ვთქვათ, კლუბს კერძო მფლობელობაში გადმოსცა 100 ჰექტარი მიწა. მას დავამუშავებთ და შემოსავალს გუნდს მოვახმართ. ძალიან დაგვეხმარა სიღნაღის რაიონის ნაკრძალების დირექტორი ავთანდილ მანგოშვილიც — მან გუნდის უფროსის ჭაპანი ღირსეულად გასწია: დიდი წვლილი შეიტანა სპორტული ბაზის კეთილმოწყობაში, ფეხბურთელებისთვის სპორტული ფორმის შეძენაში.

● ***ისიც გვითხრეს, ბავშვთა ფეხბურთზე იზრუნესო.***

— დიახ, ძლიერი ფესვების გარეშე მოზრდილთა გუნდი ვერ იარსებებს. ამიტომ ჩვენი თაოსნობით, სიღნაღის რაიონის ოთხ სოფელში: ძველ ანაგაში, ვაქირში, საქობოში და ტიბაანში ბავშვთა საფეხბურთო ჯგუფები ჩამოვაყალიბეთ.

● ***თქვენი გუნდი, ფაქტობრივად, კახეთის ნაკრებია — აქ თამაშობენ დედოფლისწყაროელი, გურჯაანელი, თელაველი ფეხბურთელები...***

— ვიცი, რასაც გულისხმობთ, ჩვენ რა, არ გვინდა, რომ „ლარწყალში“ მხოლოდ ქიზიყელი ფეხბურთელები იყოს? ჯერჯერობით, არც სოფელში, არც რაიონში საკმარისი კადრები არ აღმოჩნდა, ამიტომ მოვიწვიეთ მოთამაშეები სხვა რაიონებიდან. ამასთან, მერწმუნეთ, მალე, ძალიან მალე ჩვენი ბავშვთა ჯგუფებიდან მივიღებთ შევსებას და „ლარწყალიც“ თანდათანობით ნამდვილი ქიზიყური გუნდი იქნება.

● ***თქვენი გუნდის ლიდერთა ჯგუფში მოხვედრა სენსაციად მიიჩნიეს.***

— ვერ გამიგია, რა არის აქ სენსაციური. ჩვენთან მაღალ დონეზე დგას სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, მწვრთნელები — ნოდარ ღვედაშვილი, ვასიკო ზურაშვილი, გელა ბეგიაშვილი ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ფეხბურთელების ოსტატობა სრულყონ. ერთი დაგანახათ, როგორი გაცხოველებული მუშაობა მიდის ძველი ანაგის საწვრთნელ ბაზაზე. შედეგიც სახეზეა.

● ***მოდით, ვიყოთ რეალისტები. ვთქვათ, პირველი ჯგუფის საგზური მოიპოვეთ, გუნდის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს?***

იხ. მე-4 გვ.

# ბურთაობა ძველ ქუთაისში

(პირველი გვერდიდან)

ქვედა ქუთაისიდან. 30 ზარბაზნიდან ისროდნენ, როდესაც ელჩები ალექსანდრესთან მივიდნენ, ორივე მხრით ბედაურებზე ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი აზნაურები ბურთს თამაშობდნენ. ასევე, როცა ალექსანდრე სუფრასთან იჯდა და მოედანი გათავისუფლდა, აზნაურები, სანამ სუფრა გრძელდებოდა, ბურთის თამაშით იქცევდნენ თავს. სუფრის შემდეგ აზნაურებმა ბინამდე მიგვაცილეს''.



კასტელი. ცხენბურთის თამაში ქუთაისში

როგორც ირკვევა, სტუმრების პატივსაცემად გამართული სპორტული სანახაობა, კერძოდ, ბურთაობა, რუსეთის მთავრის ელჩებს მოეწონათ და კიდევაც შეუტანიათ თავის აღწერილობაში. აქ საინტერესოა ერთი საკითხის გარკვევა. კერძოდ, ბურთაობის რომელ სახეობაზეა ლაპარაკი, სანამ ელჩები მეფის კარამდე მივიდოდნენ, მათ ნათლად იხილეს ცხენოსანთა ბურთის თამაში. ე.ი. აქ საქმე გვაქვს ცხენბურთთან, ხოლო შემდეგ ელჩებმა მარტო ბურთის თამაში ახსენეს. ე.ი. არ არის ნახსენები ცხენი. ჩვენი აზრით, მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს ლელობურთთან, რომელიც ძველ იმერეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ქუთაისში ,,ოქროს ჩარდახის'' გვერდით მშვენიერი კეთილმოწყობილი სასპარეზო მოედანი არსებობდა. [illegible] მოიცავდა დღევანდელ ბულვარს, ოპერისა და დრამატული თეატრების, აგრეთვე მერიის ტერიტორიას მდინარე რიონის სანაპირომდე, სადაც იმართებოდა სამხედრო ვარჯიშობანი, სპორტული თამაშობები თუ თეატრალიზებული დადგმები. ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: ,,ამას ზეით არის ქალაქი ქუთაისი რიონის გაღმა-გამოღმა ჰავითა და წყლით მშვენიერი, თვალთა ქვეშ მშვენიერი ადგილი, რომელიც აღაშენა აფხაზთა მეფემან ლევან და ჰყო ტახტი. არის ციხე, ციხედამ ხიდი რიონსა ზედა აქ არის სასახლე მეფეთაგან დიდ-შენი შუენიერად, რიონსა ზედა წაკიდებული ასპარეზი მოზღუდვილი ვარჯათ ჯანდრით''.

მას შემდეგ, როცა გასული საუკუნის 30-იან წლებში ზემოხსენებულ ადგილებში ბულვარი გაშენდა, მოსახლეობაც კომპაქტურად დასახლდა და სახელმწიფო დანიშნულების შენობაც აიგო, სასპარეზო-სათამაშო მოედანს შეუცვალეს ადგილ-სამყოფელი და როგორც ქუთაისის სპორტის მკვლევარი ვ. აფრიდონიძე განსაზღვრავს, გადაიტანეს ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დღევანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ,,დინამოს'' სტადიონის ტერიტორიაზე, რადგან ახალ კეთილმოწყობილ სარბიელზე ძირითადად ბურთაობა იმართებოდა, მას სახელად ,,საბურთალო'' ეწოდა.

ქუთაისში ლელობურთის სათამაშო ადგილები იყო საფიჩხიაზე, ე.წ. ხარაზოვის ბაღის მიდამოებში, ოლასკურის ბოლოს — ყოფილი ბაინდუროვის ბაღის მიდამოებში. საყურადღებოა, რომ ბელლებთან დღევანდელი გ. ტაბიძისა და დავით და კონსტანტინეს ქუჩების ტერიტორია ჯაჭვის ხიდამდე, ხშირად სასპარეზო ველად იქცეოდა, სადაც ხელოსნები სამუშაოს დამთავრების შემდეგ ბურთის თამაშს გააჩაღებდნენ, მაგრამ ვერაფერი შეედრებოდა ხონში გიორგობის დღესასწაულისადმი მიძღვნილ ბურთაობას. ეს თამაში ფართოდ იყო დამკვიდრებული, როგორც ქუთაისის, ასევე მთელი იმერეთის სპორტულ ცხოვრებაში და მას, როგორც ერთ-ერთ უძველეს სპორტის სახეობას, გამორჩეული ადგილი ეჭირა ქალაქისა და მისი ახლო-მახლო რეგიონების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

1875 წელს ქუთაისში ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ალექსი ჭიჭინაძემ კერძო სასწავლებელი დააარსა. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მოსწავლეები სასწავლებლის თავკაცის დახმარებით თამაშობდნენ ლელობურთს. ცნობილი პედაგოგი ლელობურთს მიიჩნევდა ადამიანის ფიზიკური აღზრდის კარგ საშუალებად და აღნიშნავდა: ,,ჩვენი ბურთაობა იპყრობს ყოველგვარ გიმნასტიკურ ვარჯიშებს და საუკეთესოდ ანვითარებს ადამიანის სხეულს''.

იმ პერიოდში ქუთაისში მომუშავე ცნობილი საზოგადო მოღვაწეები კარგად გრძნობდნენ, რომ ეროვნულ ხალხურ სპორტულ თამაშობებს ღირსეული ადგილი უნდა დაეჭირა მომავალი თაობის სწორი ფიზიკურ და გონებრივ აღზრდაში.

ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსწავლეები ხშირად თამაშობდნენ ლელობურთს. მთავარი კი ის იყო, რომ სასწავლებლის დირექტორი, ცნობილი პედაგოგი იოსებ ოცხელი ყოველმხრივ უწყობდა ხელს მოსწავლეებს ლელობურთის თამაშში. ერთხელ ჩვენთან საუბარში ღვაწლმოსილმა მეცნიერმა ე. ნიკოლაძემ მოიგონა: ,,კარგად მახსოვს, რომ სასწავლებლის ადმინისტრაციის ნებართვით ვაწყობდით ხალხურ ფიზიკურ ვარჯიშებს სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, მასში უმთავრესად საშუალო და უფროსი კლასის მოსწავლეები ვმონაწილეობდით. ბატონი იოსებ ოცხელი სისტემატურად ესწრებოდა სხვა პედაგოგებთან ერთად ლელობურთის თამაშს და ჩვენც, მოსწავლეები, რომ არ შევრცხვენილიყავით, მთელი მონდომებით ვიბრძოდით გამარჯვებისათვის''.

საყურადღებოა, რომ ლელობურთი ასევე პოპულარული იყო საგუბერნიო ცენტრის სხვა სასწავლებლებშიც. ცნობილი ქართველი პოეტი გიორგი ჭალადიდელი 1859 [illegible] გიმნაზიის მოსწავლე იყო. ,,გიორგი ძლიერი, კარგი და მოხდენილი ყმაწვილი კაცი იყო, მარჯვე, მოსწრებული, ბურთის სამაგალითოდ მოთამაშე, ჩინებული გიმნასტიორი, ფეხმარდი, იმ ზომამდის ფეხმარდი, რომ გაქცეულ გიორგის, როგორც ამბობენ, დადიანის მწევარიც ვერ დაეწეოდა''. ასე ახასიათებს იონა მეუნარგია გიორგი ჭალადიდელს. ახლა თვით გიორგი ჭალადიდელს მოვუსმინოთ: ,,წერეთლის ბაღში ჩვენ რომ ბურთაობას გავმართავდით, ჩვენი მომრევი არავინ იყო. ხანდახან ზემოდან ჩამოდიოდნენ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლენი, მაგრამ ჩვენთან ვერც ისინი ხდებოდნენ რას და ვერც ქალაქის მობურთალნი'' (ზ. შერაზადაშვილი, საკითხები ფიზიკური აღზრდის ისტორიიდან, თბ. 1965 წ.).

ფრიად საყურადღებო ცნობაა. ირკვევა, რომ ლელო-ბურთი ასევე პრივილეგირებული იყო ქალაქის სასულიერო სასწავლებელში. ცოტა უფრო გვიან რეალური სასწავლებლის დაარსების შემდეგ პირველი ქართველი ფიზკულტურის მასწავლებლის იასონ გაბაშვილის ინციატივით ლელობურთის მოყვარულთა სექცია შეიქმნა.

ისიც ირკვევა, რომ ლელობურთს გამორჩეული ადგილი ეჭირა არა მარტო ქუთაისის, არამედ მთელი მისი გუბერნიის ყოველდღიურ ყოფაში.

ლელობურთს ყველა თამაშობდა, განურჩევლად ასაკისა და წოდებისა. ხშირი იყო შემთხვევა, რომ ბურთაობა, აყალმაყალითა და მუშტი-კრივით მთავრდებოდა. ზედმეტად ფიცხი მობურთავეები ხელს იარაღზეც გაივლებდნენ. ასეთ შემთხვევაში საქმეში გავლენიანი თავად-აზნაურობა, ან გამოცდილი პირები ჩაერეოდნენ და შერიგდებოდნენ კიდეც მეტოქეები.

გასულ საუკუნეში ისე როგორც ქუთაისის გუბერნიაშიც და მთელ საქართველოში რელიგიური დღესასწაულები წარმოუდგენელი იყო სპორტული ღონისძიებების გარეშე. გვიანდელ საუკუნეებში საქართველოში ღვთის მსახურებმა რადიკალურად შეცვალეს თავიანთი პოზიცია სპორტული თამაშობების მიმართ. რამეთუ ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად სრულყოფილი ახალგაზრდობა ერის საიმედო ფარი და მახვილი იყო. არც ის იყო გასაკვირი, რომ სპორტულ-თეატრალიზებული ღონისძიებები ამშვენებდა რელიგიურ დღესასწაულებს და უფრო მეტ ეფექტს ახდენდა მორწმუნე მრევლზე.

ამასთან დაკავშირებით ცნობილი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი იგონებს — ,,კვირა-უქმის გატეხა ყოვლად შეუძლებელი იყო. დაწესებულია დასასვენებლადაო. წირვა-ლოცვას რომ მოისმენდნენ, ხალხი გამოიშლებოდა ეკლესიის გალავანში, ერთმანეთს მეზობლურად, სიყვარულით და თავაზით მოიკითხავდნენ, ნასადილევს შეიყრებოდნენ მწვანე მინდორზე და იყო ბინდამდე სხვადასხვა სიმღერა, თამაშობა და გართობა. განსაკუთრებით შობის დღესასწაულებს, ყველიერსა და აღდგომის კვირიაკეს დიდი სიამოვნებით ხვდებოდნენ, სხვანაირს გართობა-თამაშობას საზღვარი და დასასრული არ ჰქონდა... სოფელი მთლად გამოიფინებოდა საცქერად, იდგა ჟრიამული ხალხისა, სიცილ-კისკისი, ვაშას და ყიჩალის ძახილი. ერთს ალაგას ბურთაობდნენ, მეორე ალაგას ჭიდაობა იყო გამართული.''

ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზეც ბურთაობა კვლავ ერთ-ერთ პრივილეგირებულ სპორტის სახეობას წარმოადგენდა რიონისპირა ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში.

ასე თამაშობენ დღეს ცხენბურთს



# ● გაიხედეთ ანაგისკენ — იქ ქართული ფეხბურთის ყლორტი წამოიზარდა!
# ● შსს აკადემიის გუნდი მალე ბევრს გააკვირვებს!

(მესამე გვერდიდან)

— მერწმუნეთ, ყველაფერს მოვუვლება — ხომ ნახეთ, რომ სტადიონზე უმოკლეს ხანში მოვაწყეთ გასახდელები, საშხაპე, კაფე-სასადილო. ახლა, პირველი წრე რომ დამთავრდება, სათამაშო მინდორსაც მივხედავთ. აქვე მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით თხოვნით მივმართო ორ ადრესატს. მოგეხსენებათ, დიდი ხანი არაა, რაც ჩამოყალიბდა სოფლად სპორტის აღორძინების ასოციაცია, რომელსაც სათავეში უდგას სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ გულუა. საქართველოს სოფლის გუნდების რაოდენობა სამს არ აღემატება. იქნებ მატერიალურად დაგვეხმაროს ეს ასოციაცია? გვაქვს კიდევ ერთი თხოვნა, ამჯერად სფფ-ს მივმართავთ — იქნებ გამოინახოს საშუალება და ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი რომელიმე საზღვარგარეთულ კლუბში სტაჟირებაზე მივავლინოთ.

**კიდევ დიდხანს ვისაუბრეთ „ლარწყალის" პრეზიდენტთან. ეს ენერგიული, თავდადებული ადამიანი დიდ სიმპათიებს იმსახურებს. ხალხმა „ფეროლა" და მისი გუნდი შეიყვარა — ამის ნათელი დადასტურებაა სტადიონის გადაჭედილი ტრიბუნები. მოდით, ვისაც როგორ შეგვიძლია, დავეხმაროთ, მარში ამოვუდგეთ ამირან ღვედაშვილის მიერ წამოწყებულ კეთილშობილურ საქმეს. ამას ქართული ფეხბურთის ინტერესები მოითხოვს.**

ჯემალ ჭიკაშვილი,
სოფ. ძველი ანაგა

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
## I ჯგუფი XIII ტური

## სტატისტიკის მოყვარულთათვის

დილა (გორი) — სამგურალი (წყალტუბო) 0-1

**გორი. ცენტრალური სტადიონი.**

*დილა:* ილურიძე, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, გ. ჩიტაია, რ. ახალკაცი (მოსულიშვილი, 58), გაგნიძე, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, თაყაძე, ბ. ჩიტაია, შატაკიშვილი.

*სამგურალი:* ხაჩირაშვილი, დ. ჭელიძე, გ. თევზაძე, ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე (ლონღაძე, 83), მახვილაძე, ძაგნიძე, დარსაძე, ფაიქიძე, (თევდორაძე, 82), ი. ხაჭაპურიძე (ც. ჯანაშია, 84).

*გოლი:* მახვილაძე (68). 75-ე წუთზე ფაიქიძემ ვერ გამოიყენა პენალტი.

*გააფრთხილეს:* ძაგნიძე.

*მსაჯი:* სოსო კახიანი (თბილისი).

გურია (ლანჩხუთი) — დინამო (თბილისი) 0-1

**ლანჩხუთი. ე. შევარდნაძის სახელობის სტადიონი.**

*გურია:* გოგუა, ფაცურია, ზ. კვეკვესკირი, კუკულაძე, განევი, ლორია, თიბილაშვილი, დ. მახარაძე, გიორგაძე, მელაძე, ბულუხია.

*დინამო:* გვარამაძე, გუჩუა, ჯელაძე, დ. მუჯირი, ზ. არჩვაძე, მ. სახვაძე, კიკნაძე, ლ. მიქაძე, აშვეთია, ცქიტიშვილი, კვარაცხელია.

*გოლი:* აშვეთია (72).

*გააფრთხილეს:* მახარაძე, კვარაცხელია, სახვაძე.

*მსაჯი:* თემურ მაჭარაძე (ხონი).

ლოკომოტივი (თბილისი) — გორდა (რუსთავი) 0-0

**მცხეთა. „არმაზის" სტადიონი.**

*ლოკომოტივი:* დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, ბაქრაძე, ბარნოვი, თარხნიშვილი, კოტორაშვილი, ნ. მინდიაშვილი (ხორგუაშვილი, 68), კ. გოგოლაძე, დ. გოდერძიშვილი, გ. ლუდუშაური (დაუშვილი, 46), კ. მელქაძე.

*გორდა:* მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბურნაძე, კედელაშვილი, მ. სახვაძე, ვ. კილასონია, ტარტარაშვილი, ზირაქაძე, გაბელაია, ლ. ალადაშვილი (ჩუხუა, 46), კ.ალადაშვილი.

*გააფრთხილეს:* ბურნაძე, მ. ქორიძე, ჩუხუა, მჭედლიძე, ბალაშვილი.

*მსაჯი:* თამაზ ლაცაბიძე (სურამი).

დინამო (ბათუმი) — კოლხეთი-1913 (ფოთი) 2-1

**ბათუმი. ცენტრალური სტადიონი.**

*დინამო:* მალაყმაძე, პაპიძე, აფხაზავა (ფუტკარაძე, 69), სიჭინავა, კანტიძე (თორლაშვილი, 46), მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, გადელია, რუსია (მაქაცარია, 88), ტუღუში.

*კოლხეთი-1913:* ქვაჩახია, ტორჩინავა, ახვლედიანი, შალამბერიძე, ღალანიძე (გიორგობიანი, 69), დ. ნოზაძე, კალანდაძე (შავგულიძე, 86), გვასალია, გაბისონია, მ. ქობულაძე, ქუტიძე.

*გოლები:* 0-1 გვასალია (44), 1-1 გადელია (62), 2-1 მაჭუტაძე (68).

*გააფრთხილეს:* მაჭუტაძე, პაპიძე, ღალანიძე, შალამბერიძე, გაბისონია.

*მსაჯი:* სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

ტორპედო (ქუთაისი) — მერანი-91 (თბილისი) 2-0

**ქუთაისი. გ. კილაძის სახელობის სტადიონი.**

*ტორპედო:* ჭანტურია, ჩხეტიანი (იმედაძე, 77), ჩხაბერიძე, ჩხაიძე, მალლაკელიძე, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, თურმანიძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე, (ვაჩიბერაძე, 86), იონანიძე (ქებაძე, 77).

*მერანი-91:* ლომაია, დევიძე, ასპინძელაშვილი (ჯიშკარიანი, 76), დავითნიძე, დანელია (ბაჯელიძე, 74), გეწაძე, გელა ქორიძე, ხარებავა, გ. კვეტენაძე (მესხი, 28), ხუციშვილი, დავითაშვილი.

*გოლები:* კვეტენაძე (42), იონანიძე (49, პენ.)

*გააფრთხილეს:* ჩხეტიანი, დავითნიძე.

*მსაჯი:* თამაზ ლორთქიფანიძე (თბილისი).

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში წესისამებრ ლიდერებთან თამაში ყველას უჭირს, მაგრამ, რაც იმ დღეს „მერანმა" გააკეთა, უდავოდ მოსაწონი და მისასალმებელია — თბილისელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს. ანგარიშის გახსნის პირველი შესაძლებლობებიც სტუმრებს მიეცათ, მაგრამ მესხმა ახლო მანძილიდან ააცილა ბურთი მიზანს. თავად ტორპედოელებს ფინანსური კრიზისის გამო თითქმის ერთი კვირა ხეირიანად არც კი უვარჯიშიათ. მხოლოდ მატჩის წინა საღამოს გახდა ცნობილი, რომ გუნდს ახალი პრეზიდენტი (მიხეილ ქორქია) მოევლინა და ბიჭებიც თავდაუზოგავად გაისარჯნენ, მატჩი ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს (**მიხეილ ჟორჟოლიანი, ქუთაისი**).

ოდიში (ზუგდიდი) — არსენალი (თბილისი) 1-2

**ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი.**

*ოდიში:* ნაყოფია, ღურწკაია (თოლორაია, 62), პ. ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ანჯაფარიძე, ჯაბუა, ტაბაღუა, კუტალია, მარკოზია, თოლორდავა, ენდელაძე (ყუფარიძე, 90).

*არსენალი:* ჩლაიძე, ფირცხალავა, ი. კაპანაძე, გველესიანი, გემეზაშვილი (ამირიძე, 77), მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი (ქიქავა, 28), ლაცაბიძე, კოროლიძე, ხოსროშვილი, ტარიელაშვილი.

*გოლები:* 0-1 ზირაქიშვილი (22), 1-1 ენდელაძე (52, პენ.), 1-2 ხოსროშვილი (54).

*გააფრთხილეს:* გემეზაშვილი, ჯაბუა, ქიქავა, ტარიელაშვილი.

*მსაჯი:* ავთანდილ შალამბერიძე (ქუთაისი).

იბერია (სამტრედია) — სიონი (ბოლნისი) 1-2

**სამტრედია. ე. მანჯგალაძის სახელობის სტადიონი.**

*იბერია:* ჩაჩუა, გაბრიჭიძე (გეგეშიძე, 74), გ. ლურსმანაშვილი, მესიაჩენკო, ს. გიგიაძე, ვარდიაშვილი (ხუჭუა, 46), ჩომახიძე, გ. ჭელიძე, ვ. გიგიაძე, ლორთქიფანიძე (ამაშუკელი, 46), ივეჩიანი.

*სიონი:* ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, გაგუა, მ. სამხარაძე (გ. ჯაფარიძე, 87), ჩლაიძე, მ. გოგოლაძე, მაზანაშვილი, სულთანოვი, მოსეშვილი (სვანიძე, 90).

*გოლები:* 1-0 ჩომახიძე (16), 1-1 სამხარაძე (38), 1-2 შაკიაშვილი (62, პენ.).

*გააფრთხილეს:* მოსეშვილი, გოდერძიშვილი.

*მსაჯი:* გურამ ასკარ-ოღლი (ქარელი).

● ტურის **„მოვლენა"** ალბათ „ლოკომოტივის" ზედიზედ მესამე ფრეა — 0-0.

● ტურის „მიღწევა" კი — წყალტუბოს „სამგურალისა" და ბოლნისის „სიონის" გამარჯვება სტუმრად. ახლა ჩემპიონატში დარჩა მხოლოდ ორი გუნდი („გურია" და „გორდა"), რომლებსაც სტუმრად გამარჯვება არ მოუპოვებიათ.

● სტუმრად ყველაზე მეტი ქულა მოიპოვეს: თბილისის „დინამომ" — 14; თბილისის „ლოკომოტივმა" და ქუთაისის „ტორპედომ" — 13-13; ყველაზე ნაკლები ქულა კი აიღეს: „გურიამ" — 1; „გორდამ" და „სიონმა" — 3-3; „სამგურალმა" და „კოლხეთი-1913" — 4-4.

● 8 მატჩში გატანილია 14 გოლი (საშუალოდ ერთ მატჩში 1,75). მასპინძლებმა შეაგდეს 6 ბურთი, სტუმრებმა — 8.

საერთოდ, ჩემპიონატის დაწყებიდან გატანილია 281 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში 2,72).

მასპინძლების ანგარიშზეა 174, რაც შეადგენს გატანილი ბურთების 62%-ს, სტუმრებმა შეაგდეს 107 გოლი (38%).

● ტურში „დიდი" ანგარიშით გამარჯვება არ ყოფილა.

● მასპინძლებმა მოიგეს 2 მატჩი, ფრედ დამთავრდა ერთი შეხვედრა, ხოლო სტუმრებმა მოიგეს 5.

სულ სეზონში მასპინძლებმა მოიგეს 47 შეხვედრა, (ჩატარებული მატჩების 46%), ფრედ დამთავრდა 26 მატჩი (25%), ხოლო სტუმრებმა მოიგეს 30 (29%).

● ტურში „მშრალად" შეინახეს კარი 6 გუნდის მეკარეებმა.

ჩემპიონატის დაწყებიდან ასეთი მიღწევა ჰქონდათ: ჯანელიძეს — 8-ჯერ („ლოკომოტივი"), გვარამაძეს — 6-ჯერ („დინამო" თბ.); ქვაჩახიას („კოლხეთი-1913"), ლომაიას („მერანი-91"), ჩლაიძეს („არსენალი") და ქორიძეს („გორდა") — 5-5-ჯერ.

● ტურში არ აღნიშნულა არც ერთი „დუბლი".

● დაინიშნა 4 პენალტი (გამოყენებულია 3). ჩემპიონატის დაწყებიდან დანიშნულია 39 პენალტი (გამოყენებულია 30).

● გაფრთხილებულია 24 ფეხბურთელი. ყველაზე „უხეში" მატჩებია: „ლოკომოტივი" — „გორდა" და „დინამო" ბთ. — „კოლხეთი-1913" — 5-5 გაფრთხილება.

### ბომბარდირები:

პ.წივწივაძე („კოლხეთი-1913") — 10 გოლი.
მ.აშვეთია („დინამო" თბ.) — 10
ზ.იონანიძე („ტორპედო") — 10
ლ.ხომერიკი („დინამო" თბ.) — 8
ა.კაიდარაშვილი („დილა") — 8
პ.მაჭუტაძე („დინამო" ბთ.) — 7
გ.შენგელია („დინამო" თბ.) — 6
თ.ტუღუში („დინამო" ბთ.) — 6
გ.მეგრელაძე („ტორპედო") — 6
დ.მახარაძე („გურია") — 6
თ.ფაიქიძე („სამგურალი") — 6
შ.ჩომახიძე („იბერია") — 6
ზ.ენდელაძე („ოდიში") — 6
ე.გვასალია („კოლხეთი-1913") — 6

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი, სოფ. ფშაფი

**გამოცდილება** | დისკუსია იტალიურ სპორტულ პრესაში

# „ბორუსია" და სკალა

პროფესორი ივან კარმინატი უკვე ათი წელია ცნობილ მწვრთნელ ნევიო სკალასთან თანამშრომლობს. ასე იყო „პარმაში", შემდეგ მუშაობა დორტმუნდის „ბორუსიაში" გაგრძელდა. აი, რას ამბობს იგი გერმანულ კლუბში ფიზიკური მომზადების მწვრთნელად მოღვაწეობის შესახებ.

— გერმანელი მოთამაშეების მხრიდან სრული გაგება ვპოვე, როგორც კი ჩემი მომზადების პროგრამა შევთავაზე. შენ მათ ვარჯიშებს სთავაზობ, ისინი კი მთელი დაძაბულობით და ასევე სრული კონცენტრაციით ასრულებენ მას. იტალიაში კი ყოველთვის ასე არ არის. თუ ტექნიკურ დეტალებზე ვილაპარაკებთ, „ბორუსიაში" ადრე ვარჯიშის პროგრამაში შეიტანდნენ ხოლმე მსუბუქად რბენას გრძელ მანძილზე (ერთი კილომეტრი დაახლოებით ხუთ წუთში), კუნთების გამაგრებას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, რადგან მთელი სამუშაო, საწვრთნელი, დრო ბურთით ვარჯიშს ეთმობოდა. რაც შეეხება დარბაზში მუშაობას, ეს უკვე ფეხბურთელების სურვილზე იყო დამოკიდებული.

● ***რა სიახლე შეიტანეთ „ბორუსიის" საწვრთნელ პროცესში?***

ვავარჯიშებდით 30 კილოგრამამდე სიმძიმის შტანგით ან მძიმე სარტყელებით (5-8 კგ). აერობიკის თვალსაზრისით ვიყენებდით „ფარტლეკს" (რბენა ცვალებადი ტემპით), რის შედეგად ფეხბურთელებმა საკმაოდ მალე მოუმატეს სისწრაფეს. მართალია, გერმანელი მოთამაშეები არ არიან დაჩვეულნი ისეთივე ინტენსივობით იმუშაონ, როგორც ამას იტალიელები აკეთებენ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ფიზიკურად ისინი ძალიან ძლიერნი არიან. ეს იმ ფიზიკური მომზადების წყალობით ხდება, რომელიც მათ ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს გაიარეს. ვფიქრობ, უახლოეს დროში ახალი ვარჯიშების წყალობით (ხტომა, დაბრკოლებების გადალახვა, ცვალებადი სიჩქარით რბენა) საგრძნობლად შეიცვლება მოთამაშეების რეაქცია.

● ***რას ფიქრობთ ფიზიკური მომზადების სფეროში მომუშავე მწვრთნელების შემდგომი პერსპექტივების შესახებ?***

— სხვადასხვა მიმართულებით ათწლიანი მუშაობის შემდეგ ახლა ახალი ნაბიჯი უნდა გადაიდგას წინ. ვფიქრობ, უნდა გაღრმავდეს თანამშრომლობა სამედიცინო ბრიგადასთან, რადგან პულსისა და ძალის ცვლილებებთან ერთად, აუცილებელია მოინახოს თითოეული მოთამაშის ძალის აღდგენის ოპტიმალური შესაძლებლობები, თამაშის ტემპის მოდელირება. ამიტომაც მედიკოსების წვლილი, სათანადო ბიოქიმიკური გამოკვლევები, ისეთ მნიშვნელობას მოიპოვებს, როგორც არასდროს.

აი, როგორ გამოიყურება დორტმუნდის „ბორუსიის" მომზადების კვირეული გრაფიკი.

***კვირა.*** დილა. აღდგენითი მეცადინეობა კვირის ჩემპიონატის მატჩის შემდეგ. 15 წუთი მსუბუქი რბენა, 7-8 წუთი — მზარდი სისწრაფით, ფიზიკური ვარჯიში, სამედიცინო კონტროლი და შესაძლებელი ფიზიოთერაპია.

***ორშაბათი.*** დასვენება.

***სამშაბათი.*** დილა: შერეული ტიპის მეცადინეობა, ტექნიკური ნაწილი იცვლება სხვადასხვანაირი ხტომით, დაბრკოლებების დაძლევითა და აღმასვლით.

სადილის




შემდეგ: ორმხრივი თამაში წინასწარ მიცემული თემით, ძალისმიერი ვარჯიში, მუშაობა ბურთით, „ფარტლეკი" (რბენა თანდათან ტემპის მომატებით).

***ოთხშაბათი.*** დღის მეორე ნახევარი: ორმხრივი თამაში ძირითადი შემადგენლობის ყველა მოთამაშის მონაწილეობით, ინდივიდუალური მუშაობა აერობიკაში.

***ხუთშაბათი.*** აღდგენითი ვარჯიში ბურთით. ვარჯიში სისწრაფეზე, აჩქარება 15 მეტრამდე. მოთამაშეთა დაყოფა 2-3 კაციან ჯგუფებად და მათთან მეცადინეობა. სწრაფი რეაქცია და ყურადღების კონტროლი. ვარჯიში სტანდარტულ მდგომარეობაში. ერთმანეთისთვის ბურთის გადაცემა.

***პარასკევი.*** დღის მეორე ნახევარი: ძალისმიერი ვარჯიში, სისწრაფის გამომუშავება. ტაქტიკურ-ტექნიკური მდგომარეობის გარჩევა.

***შაბათი.*** დილა: 15 წუთი დამოუკიდებელი ვარჯიშისათვის. სხვადასხვა ფიზიკური მოძრაობა. დღის მეორე ნახევარი მატჩი ქვეყნის პირველობაზე. თამაშის შემდეგ მთელი გუნდი ბუცების ნაცვლად მსუბუქს იცვამს და მსუბუქი რიტმით 10 წუთიან გარბენს ასრულებს.

ყველა მოთამაშეს ინდივიდუალური ცხრილი აქვს იმ ვარჯიშების მითითებით, რომელიც მან უნდა შეასრულოს. რა ვარჯიში უნდა შეასრულოს სამშაბათსა და ოთხშაბათს, მას მიეთითება ნახევარი საათით ადრე საერთო მეცადინეობის დაწყებამდე.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „პენიაროლის" მარცხი

ურუგვაის საფეხბურთო ჩემპიონატების მთელი ისტორიის განმავლობაში მეტოქეობა პირველი ადგილისათვის სულ ორ დედაქალაქურ კლუბს, მონტევიდეოს „პენიაროლსა" და „ნასიონალს" შორის მიმდინარეობდა. ამასთან, „პენიაროლმა" 45-ჯერ გაიმარჯვა, „ნასიონალმა" კი — 35-ჯერ.

ჩემპიონატი წელიწადში ორჯერ ტარდება. შემოდგომის ჩემპიონატში („აპერტურა") გაიმარჯვა. „ნასიონალმა" ახლანდელ საგაზაფხულო („კლაუსურა") ჩემპიონატში ყველაზე სახელოვანმა კლუბმა „პენიაროლმა" ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა ზედიზედ მეექვსედ მოეპოვებინა პირველი ადგილი ასეთ შეჯიბრებაში. იგი მოულოდნელად დამარცხდა 2-3 უმნიშვნელო კლუბ „რივერ პლეიტთან" (არ ავურიოთ ამავე სახელწოდების განთქმულ არგენტინულ კლუბში). საინტერესოა, რომ გოლები „პენიაროლის" კარში გაიტანეს მისმა ყოფილმა მოთამაშეებმა მარტინ როდრიგესმა და დიეგო აგირემ.

## მარსელო ბიელსა ფრთხილად იწყებს

არგენტინის ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელ მარსელო ბიელსას დებიუტი ექნება მხოლოდ 1 თებერვალს, როცა მისი გუნდი მაიამიში (აშშ) ვენესუელის ნაკრებს შეხვდება. 3 დღის შემდეგ ამავე სტადიონზე არგენტინელები უკვე გვატემალელებს ეთამაშებიან. ამასთან, აშშ-ს სტადიონებზე მხოლოდ არგენტინელები როდი ითამაშებენ. 9 თებერვალს აშშ-ის ნაკრები ჯექსონვილში გერმანელებს მიიღებს, სამი დღის შემდეგ კი მაიამიში კოლუმბიელებს.

## ფრანსისკო მატურანა მოგზაურობს

ცნობილმა კოლუმბიელმა სპეციალისტმა ფრანსისკო მატურანამ ორჯერ გაიყვანა თავისი ქვეყნის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში (1990 და 1994 წლებში), მანამდე კი კოლუმბიელებს ეს პატივი წილად მხოლოდ ერთხელ (1962 წ) ხვდათ. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მძიმე მარცხის შემდეგ მატურანა უკვე ეკვადორის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში, მაგრამ ამ გუნდში ვერაფერს გახდა.

ახლა მატურანამ კოსტა-რიკის ნაკრებში დაიწყო მუშაობა, თანამემამულე ლუის ფერნანდო სუარესის თანაშემწედ. გუნდის უახლოესი მიზანი „ამერიკის თასის" გათამაშებისათვის მომზადებაა.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ყიფიანს ინგატიევი შეცვლის?

რუსულ პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ დავით ყიფიანს იაროსლავლის „შინიკში", რუსეთის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი ბორის იგნატიევი შეცვლის.

მას შემდეგ, რაც ნაკრები დატოვა, ბორის იგნატიევი მოსკოვის „ტორპედო-ზილ"-ში მუშაობდა, რომელმაც მეორე დივიზიონის „დასავლეთის" ზონაში დიდი უპირატესობით დაიკავა პირველი ადგილი.

### „ან ითამაშე, ან..."

ამ სეზონის დასაწყისში არგენტინელ ფორვარდ ხულიო კრუსის ყიდვა როტერდამის „ფეიენოორდს" 5 მილიონ დოლა/ად დაუჯდა, მაგრამ, რა გინდა...

არგენტინელი მინდორზე კი გამოდის, მაგრამ ცნობილ მწვრთნელ ლეო ბეენჰაკერის აზრით, აშკარად თავს არიდებს თამაშს, უკეთეს შემთხვევაში, რომ იტყვიან, მოვალეობას იხდის.

მწვრთნელის მოთმინების ფიალა აშკარად აივსო. მან ხულიო კრუსს ულტიმატუმი წაუყენა: „ან ითამაშე, ან..."

### „პარი სენ-ჟერმენი" მდგომარეობას ასწორებს

მას შემდეგ, რაც „პარი სენ-ჟერმენს" სათავეში ჩაუდგა ადრინდელი ხელმძღვანელი პორტუგალიელი არტურ ჟორჟი, გუნდს გამოსწორება დაეტყო.

ჯერჯერობით ჩემპიონატში სულ 12 ტურია გასული, ისე რომ, პარიზელებს სულაც არ დაუკარგავთ იმედი, რომ მოკლე ხანში ტურნირის შუაგულს თავს დააღწევენ და თანდათანობით ლიდერობისათვის ბრძოლაშიც ჩაერევიან.

### ერთადერთი მატჩისათვის

რუსეთის ნაკრები სამხრეთ ამერიკაში ბრაზილიის ნაკრებთან ერთადერთ მატჩს (18 ნოემბერს) უნდა დასჯერდეს. მოლაპარაკება სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ყველა სხვა ნაკრებთან უშედეგოდ დასრულდა — გამოირკვა, რომ მათი კალენდარი ისედაც გადატვირთულია.

### ტრავმა ტრავმას მიჰყვა

ტურინის „იუვენტუსის" ტრავმირებული მოთამაშეების დიდ ჯგუფს საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი დიდიე დეშამიც შეემატა, რომელმაც ტერფი დაიზიანა. როგორც სარენტგენო შემოწმების შემდეგ გახდა ნათელი, იგი მინდორზე მხოლოდ 22 ნოემბერს გამოვა.

### მოთამაშე რონალდო პრეზიდენტი ხდება?

იტალიის პრესაში სენსაციური ცნობა გამოჩნდა. რონალდო აპირებს მილანის „ინტერის" ერთ-ერთი მთავარი აქციონერი გახდეს.

— მან მოგახსენათ თავისი განზრახვის შესახებ? ჰკითხეს „ინტერის" პრეზიდენტ მასიმო მორატის.

— დიახ, მოვიდა და მითხრა, შეუძლ... თუ არა აქციების პაკეტის შეძენა მას აქციების 69 პროცენტს მი...დი.

— იგი „ინტერის" პრეზიდენტი ხომ არ გახდება?

— რატომაც არა!

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები



# თქვენთვის, ფეხბურთის გულშემატკივრებო!

## ინგლისის ჩემპიონატი

### პრემიერლიგაში ჩატარებული მატჩების შედეგები ტურების მიხედვით

**I ტური**
საუთჰემპტონი — ლივერპული 1-2
შეფილდი — ვესტ ჰემი 0-1
ნიუკასლი — ჩარლტონი 0-0
მანჩესტერი — ლესტერი 2-2
მიდლსბრო — ლიდსი 0-0
ბლექბერნი — დერბი 0-0
ევერტონი — ასტონ ვილა 0-0
არსენალი — ნოტინგემი 2-1
უიმბლდონი — ტოტენჰემი 3-1
ქოვენთრი — ჩელსი 2-1

**II ტური**
ტოტენჰემი — შეფილდი 0-3
ლივერპული — არსენალი 0-0
ვესტ ჰემი — მანჩესტერი 0-0
დერბი — უიმბლდონი 0-0
ჩელსი — ნიუკასლი 1-1
ლიდსი — ბლექბერნი 1-0
ჩარლტონი — საუთჰემპტონი 5-0
ლესტერი — ევერტონი 2-0
ნოტინგემი — ქოვენთრი 1-0
ასტონ ვილა — მიდლსბრო 3-1

**III ტური**
ნიუკასლი — ლივერპული 1-4
შეფილდ უონ. — ასტონ ვილა 0-1
საუთჰემპტონი — ნოტინგემი 1-2
ევერტონი — ტოტენჰემი 0-1
მიდლსბრო — დერბი 1-1
ქოვენთრი — ვესტ ჰემი 0-0
უიმბლდონი — ლიდსი 1-1
არსენალი — ჩარლტონი 0-0
ბლექბერნი — ლესტერი 1-0
მანჩესტერი — ჩელსი გადაიდო

**IV ტური**
ლესტერი — მიდლსბრო 0-1
ვესტჰემი — უიმბლდონი 3-4
ნოტინგემი — ევერტონი 0-2
ასტონ ვილა — ნიუკასლი 1-0
დერბი — შეფილდი 1-0
დივერპული — ქოვენთრი 2-0
მანჩესტერი — ჩარლტონი 4-1
ტოტენჰემი — ბლექბერნი 2-1
ლიდსი — საუთჰემპტონი 3-0
ჩელსი — არსენალი 0-0

**V ტური**
ჩარლტონი — დერბი 1-2
ტოტენჰემი — მიდლსბრო 0-3
ასტონ ვილა — უიმბლდონი 2-0
ჩელსი — ნოტინგემი 2-1
მანჩესტერი — ქოვენთრი 2-0
ნიუკასლი — საუთჰემპტონი 4-0
შეფილდი — ბლექბერნი 3-0
ვესტ ჰემი — ლივერპული 2-1
ევერტონი — ლიდსი 0-0
ლესტერი — არსენალი 1-1

**VI ტური**
ბლექბერნი — ჩელსი 3-4
ქოვენთრი — ნიუკასლი 1-5
არსენალი — მანჩესტერი 3-0
დერბი — ლესტერი 2-0
უიმბლდონი — შეფილდი 2-1
ლიდსი — ასტონ ვილა 0-0
ლივერპული — ჩარლტონი 3-3
ნოტინგემი — ვესტ ჰემი 0-0
საუთჰემპტონი — ტოტენჰემი 1-1
მიდლსბრო — ევერტონი 2-2

**VII ტური**
ჩელსი — მიდლსბრო 2-0
მანჩესტერი — ლივერპული 2-0
ასტონ ვილა — დერბი 1-0
ნიუკასლი — ნოტინგემი 2-0
შეფილდი — არსენალი 1-0
ვესტ ჰემი — საუთჰემპტონი 1-0
ჩარლტონი — ქოვენთრი 1-1
ტოტენჰემი — ლიდსი 3-3
ევ... — ბლექბერნი 0-0
ლე... — ...იმბლდონი 1-1

**VIII ტური**
დერბი — ტოტენჰემი 0-1
ქოვენთრი — ასტონ ვილა 1-2
ლიდსი — ლესტერი 0-1
ნოტინგემი — ჩარლტონი 0-1
საუთჰემპტნოი — მანჩესტერი 0-3
უიმბლდონი — ევერტონი 1-2
არსენალი — ნიუკასლი 3-0
ბლექბერნი — ვესტ ჰემი 3-0
მიდლსბრო — შეფილდი 4-0
ლივერპული — ჩელსი 1-1

**IX ტური**
ლესტერი — ტოტენჰემი 0-1
ქოვენთრი — შეფილდი 1-0
ჩელსი — ჩარლტონი 2-1
მანჩესტერი — უიმბლდონი 5-1
ნიუკასლი — დერბი 2-1
მიდლსბრო — ბლექბერნი 2-1
არსენალი — საუთჰემპტონი 1-1
ევერტონი — ლივერპული 0-0
ვესტ ჰემი — ასტონ ვილა 0-0
ნოტინგემი — ლიდსი 1-1



XII ტურის ცნობილი მოვლენა ის იყო, რომ გასკოინმა მკურნალობის შემდეგ პირველი გოლი გაიტანა.

**X ტური**
ბლექბერნი — არსენალი 1-2
ტოტენჰემი — ნიუკასლი 2-0
საუთჰემპტონი — ქოვენთრი 2-1
ლივერპული — ნოტინგემი 5-1
ჩარლტონი — ვესტ ჰემი 4-2
უიმბლდონი — მიდლსბრო 2-2
შეფილდი — ევერტონი 0-0
ლიდსი — ჩელსი 0-0
დერბი — მანჩესტერი 1-1
ასტონ ვილა — ლესტერი 1-1

**XI ტური**
ქოვენთრი — არსენალი 0-1
ნიუკასლი — ვესტ ჰემი 0-3
ევერტონი — მანჩესტერი 1-4
ლესტერი — ლივერპული 1-0
მიდლსბრო — ნოტინგემი 1-1
დერბი — ლიდსი 2-2
უიმბლდონი — ბლექბერნი 1-1
შეფილდი — საუთჰემპტონი 0-0
ტოტენჰემი — ჩარლტონი 2-2
ჩელსი — ასტონ ვილა გადაიდო

**XII ტური**
ასტონ ვილა — ტოტენჰემი 3-2
ბლექბერნი — ქოვენთრი 1-2
ჩარლტონი — ლესტერი 0-0
ლივერპული — დერბი 1-2
ნოტინგემი — უიმბლდონი 0-1
საუთჰემპტონი — მიდლსბრო 3-3
მანჩესტერი — ნიუკასლი 0-0
ლიდსი — შეფილდი 2-1
არსენალი — ევერტონი 1-0
ვესტ ჰემი — ჩელსი 1-1

### I დივიზიონში ჩატარებული მატჩების შედეგები ტურების მიხედვით

**I ტური**
ნორვიჩი — ქრიუ 2-1
ვულვერჰემპტონი — ტრანმერი 2-0
სანდერლენდი — ქუინზპარკი 1-0
შეფილდ. იუნაიტ. — სვინდონი 2-1
პორტ ვეილი — ბირმინგემი 0-2
ბრედფორდი — სტოკპორტი 1-2
ბერი — ჰადერსფილდი — 1-2
პორტსმუთი — უოტფორდი 1-2
ბარნსლი — ვესტ ბრომვიჩი 2-2
ბრისტოლი — ოქსფორდი 2-2
კრ. პალასი — ბოლტონი 2-2
გრიმსბი — იფსვიჩი გადაიდო (0-0)

**II ტური**
ვესტ ბრომვიჩი — შეფილდ იუნ. 4-1
უოტფორდი — ბრედფორდი 1-0
ჰადერსფილდი — პორტ ვეილი 2-1
ქრიუ — ბარნსლი 3-1
ბოლტონი — გრიმსბი 2-0
ბირმინგემი — კრ. პალასი 3-1
სტოკპორტი — ნორვიჩი 0-2
ოქსფორდი ვულვზი 0-2
ტრანმერი — პორტსმუთი 1-1
სვინდონი — სანდერლენდი 1-1
ქუინს პარკი — ბრისტოლი 1-1
იფსვიჩი — ბერი 0-0

**III ტური**
სანდერლენდი — ტრანმერი 5-0
ვულვზი — სვინდონი 1-0
ნორვიჩი — ქუინზ პარკი 4-2
გრიმსბი — ჰადერსფილდი 1-0
კრ. პალასი — ოქსფორდი 2-0
ბარი — ქრიუ 1-0
პორტსმუთი — იფსვიჩი 0-0
ბრედფორდი — ბოლტონი 2-2
ბარნსლი — სტოკპორტი 1-1
ბრისტოლი — უოტფორდი 1-4
პორტ ვეილი — ვესტ ბრომვიჩი 0-3
შეფილდ იუნ. — ბირმინგემი 0-2

**IV ტური**
ვესტ ბრომვიჩი — ნორვიჩი 2-0
ქრიუ — ბრედფორდი 2-1
უოტფორდი — ვულვერჰემპტონი 0-2
იფსვიჩი — სანდერლენდი 0-2
ტრანმერი — ბრისტოლი 1-1
სვინდონი — პორტვეილი 1-1
სტოკპორტი — კრ. პალასი 1-1
ქპრ — ბერი 0-0
ოქსფორდი — გრიმსბი 0-0
ჰადერსფილდი — პორტსმუთი 3-3
ბოლტონი — შეფილდი 2-2
ბირმინგემი — ბარნსლი 0-0

**V ტური**
სანდერლენდი — უოტფორდი 4-1
შეფილდი — ქრიუ 3-1
პორტსმუთი — ქპრ 3-0
გრიმსბი — ვესტ ბრომვიჩი 5-1
ბერი — სვინდონი 3-0
ბრედფორდი — ბირმინგემი 2-1
ბარნსლი — ოქსფორდი 1-0
ბრისტოლი — ჰადერსფილდი 1-2
პორტ ვეილი — იფსვიჩი 0-3
ვულვერჰემპტონი — სტოკპორტი 2-2
კრ. პალასი — ტრანმერი გადაიდო
ნორვიჩი — ბოლტონი გადაიდო

**VI ტური**
ბირმინგემი — ბერი 1-0
ჰადერსფილდი — შეფილდი 2-0
სტოკპორტი — გრიმსბი 2-0
სვინდონი — ბრისტოლი 3-2
ოქსფორდი — პორტსმუთი 3-0
დანარჩენი შეხვედრები გადაიდო

**VII ტური**
შეფილდი — გრიმსბი 3-2
სვინდონი — ოქსფორდი 4-1
ბირმინგემი — სტოკპორტი 2-0
ბერი — პორტსმუთი 2-1
ჰადერსფილდი — უოტფორდი 2-0
იფსვიჩი — ბრედფორდი 3-0
პორტ ვეილი — ვულვზი 2-1
ბარნსლი — ნორვიჩი 1-3
ქრიუ — კრ. პალასი 0-1
ვესტ ბრომივიჩი — ბოლტონი 2-3
ქპრ — ტრანმერი 0-0
სანდერლენდი — ბრისტოლი 1-1

**VIII ტური**
ბოლტონი — ბირმინგემი 3-1
პორტსმუთი — სვინდონი 5-2
უოტფორდი — ქპრ 2-1
ბრისტოლი — ვესტ ბრომვიჩი 1-3
კრ. პალასი — პორტ ვეილი 0-1
გრიმსბი — ბარნსლი 1-2
ტრანმერი — ჰადერსფილდი 2-3
ნორვიჩი — ბერი 0-0
ბრედფორდი — შეფილდი 2-2
ოქსფორდი — იფსვიჩი 3-3
სტოკპორტი —
ვულვზი — სანდერლენდი 1-1

**IX ტური**
ბარნსლი — კრ. პალასი 4-0
ჰადერსფილდი — ვულვზი 2-1
იფსვიჩი — ბრისტოლი 3-1
შეფილდი — ნორვიჩი 2-1
სანდერლენდი — ოქსფორდი 7-0
ქპრ — სტოკპორტი 2-0
ვესტ ბრომვიჩი — ბრედფორდი 0-2
ბირმინგემი — გრიმსბი 0-1
პორტ ვეილი პორტსმუთი 0-2
სვინდონი — უოტფორდი 1-4
ბერი — ტრანმერი 0-0
ქრიუ — ბოლტონი 4-4

**X ტური**
კრ პალასი — შეფილდი 1-0
ბოლტონი — ჰადერსფილდი 3-0
ბრედფორდი — ბარნსლი 2-1
ბრისტოლი — ქრიუ 5-2
ნორვიჩი — ბირმინგემი 2-0
ოქსფორდი — ქპრ 4-1
უოტფორდი — იფსვიჩი 1-0
ვულვზი — ბერი 1-0
ტრანმერი — სვინდონი 0-0
გრიმსბი — პორტ ვეილი 2-2
პორტსმუთი — სანდერლენდი 1-1
სტოკპორტი — ვესტბრომვიჩი 2-2

**XI ტური**
ოქსფორდი — ვესტ ბრომვიჩი 3-0
ბრედფორდი — პორტ ვეილი 4-0
ბოლტონი — სვინდონი 2-1
კრ. პალასი — ბერი 4-2
ვულვზი — ქპრ 1-2
ტრანმერი — იფსვიჩი 0-2
პორტსმუთი — ბირმინგემი 0-1
ბრისტოლი — ბარნსლი 1-1
გრიმსბი — ქრიუ 1-1
ნორვიჩი — სანდერლენდი 2-2
სტოკპორტი — ჰადერსფილდი 1-1
უოტფორდი — შეფილდი 1-1

**XII ტური**
შეფილდი — პორტსმუთი 2-1
პორტ ვეილი — ნორვიჩი 1-0
იფსვიჩი — კრ. პალასი 3-0
ჰადერსფილდი — ოქსფორდი 2-0
ვესტ ბრომვიჩი — უოტფორდი 4-1
ბერი — ბრისტოლი 0-1
ქპრ — გრიმსბი 1-2
სვინდონი — სტოკპორტი 2-3
ბარნსლი — ბოლტონი 2-2
ქრიუ — ვულვზი 0-0
ბირმინგემი — ტრანმერი 2-2
სანდერლენდი — ბრედფორდი 0-0

**XIII ტური**
სვინდონი — ჰადერსფილდი 3-0
ბრედფორდი — ბერი 3-0
ბარნსლი — პორტ ვეილი 0-2
ოქსფორდი — ტრანმერი 1-2
ბრისტოლი — პორტსმუთი 2-2
უოტფორდი — ბირმინგემი 1-1
დანარჩენი შეხვედრები გადაიდო

**XIV ტური**
ტრანმერი — უოტფორდი 3-2
პორტსმუთი — ვულვზი 1-0
პორტ ვეილი — ბრისტოლი 3-2
იფსვიჩი — სვინდონი 1-0
ჰადერსფილდი — ქპრ 2-0
გრიმსბი — ბრედფორდი 2-0
კრ. პალასი — ნორვიჩი 5-1
ბირმინგემი — ქრიუ 3-1
ვესტ ბრომვიჩი — სანდერლენდი 2-3
ბოლტონი — ოქსფორდი 1-1
ბერი — სტოკპორტი 1-1
შეფილდი — ბარნსლი 1-1

**XV ტური**
ვესტ ბრომვიჩი — ქპრ 2-0
ტრანმერი — ბარნსლი 3-0
პორტ ვეილი — ქრიუ 1-0
გრიმსბი — ბრისტოლი 2-1
კრ. პალასი — ვულვზი 3-2
ბერი — ოქსფორდი 1-0
ბოლტონი — უოტფორდი 1-2
იფსვიჩი — ნორვიჩი 0-1
პორტსმუთი — ბრედფორდი 2-4
ჰადერსფილდი — სანდერლენდი 1-1
შეფილდი — სტოკპორტი 1-1
ბირმინგემი — სვინდონი 1-1

**XVI ტური**
ბრისტოლი — ბოლტონი 2-1
ბარნსლი — პორტსმუთი 2-1
ნორვიჩი — ჰადერსფილდი 4-1
სანდერლენდი — ბერი 1-0
ვულვზი — გრიმსბი 2-0
ქრიუ — ტრანმერი 1-4
ოქსფორდი — შეფილდი 0-2
სტოკპორტი — იფსვიჩი 0-1
ქპრ — ბირმინგემი 0-1
ბრედფორდი — კრ. პალასი 1-1
სვინდონი — ვესტ ბრომვიჩი 2-2
უოტფორდი — პორტ ვეილი 2-2

**XVII ტური**
სვინდონი — ქპრ 3-1
იფსვიჩი — ვესტ ბრომვიჩი 2-0
ბრედფორდი — ბრისტოლი 5-0
გრიმსბი — კრ. პალასი 2-0
ბოლტონი — სანდერლენდი 0-3
ბერი — უოტფორდი 1-3
პორტ ვეილი — შეფილდი 2-3
ბირმინგემი — ჰადერსფილდი 1-1
ოქსფორდი — ქრიუ 1-1
ტრანმერი — სტოკპორტი 1-1
ვულვზი — ბარნსლი 1-1
პორტსმუთი — ნორვიჩი გადაიდო

**გადადებული მატჩები:**
ქრიუ — სანდერლენდი 1-4
იფსვიჩი — ვულვზი 2-0
უოტფორდი — ნორვიჩი 1-1
ვესტ ბრომვიჩი — კრ. პალასი 3-2
ბოლტონი — პორტ ვეილი 3-1
ქუინზ პარკი — ბარნსლი 2-1

## ბედი და სპორტის ვარსკვლავები

# ტაიგერ ვუძი მილიონებს ეთამაშება

სპორტულ კაბადონზე მისი გამოჩენით ბევრი რამ შეიცვალა. ტელევიზიამ გადაწყვიტა კალათბურთსა და ჰოკეიზე არანაკლები ყურადღება დაუთმოს გოლფს, ამ თამაშის თაყვანისმცემლები ქოლგებითა და დასაკეცი სკამებით თავიანთ კერპს კვალდაკვალ მისდევენ იმ ქვეყნებში, სადაც მას გამოსვლა უწევს. ახლა ფლორიდისა და კალიფორნიის ვერც ერთ 14 ათასიან გოლფის სარბიელზე ვერ შეაღწევს ადვილად კაცი თუ იქ ვუძი თამაშობს. ამიტომაც არავის უკვირს ის, რომ სულ მოკლე ხანში ამერიკელ სპორტსმენთა სიაში, რომელთაც ყველაზე მაღალი სარეკლამო კონტრაქტები აქვთ, გოლფისტი უცებ მეორე ადგილზე დამკვიდრდა.

იგი ჯერჯერობით მარტო შეუდარებელ მაიკლ ჯორდანს ჩამორჩება, რომელმაც ასე შეაფასა გოლფისტი: „დღეს მოქმედ სპორტსმენთაგან იგი ნამდვილი გმირია". სხვაზე ვისზე შეიძლებოდა ეთქვა ასე კალათბურთის ვარსკვლავს?

ეს 21 წლის ჭაბუკი შარშანდელი წლის ნამდვილი აღმოჩენაა. გოლფის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირებში რამდენიმე გამარჯვებამ პირველ ყოვლისა, ოგასტში შავკანიანი ვუძი სუპერვარსკვლავად და სუპერმდიდარ კაცად აქცია. უფრო მეტიც, იგი მსოფლიოში პირველი გოლფისტია, ვისაც პირადი დაცვა ჰყავს, რაც სულაც არ არის ახირება. უბრალოდ, ამერიკაში ოდითგანვე გოლფი თეთრი ჯენტლმენების სპორტად ითვლება და რასისტულად განწყობილ ახალი სამყაროს მცხოვრებლებს სულაც არ ეხატებათ გულზე ზანგი კერპის გამოჩენა. მის მიმართ განწყობილება მარტო ბინძური შეძახილებითა და ანონიმური წერილებით როდი შემოიფარგლება. ერთხელ მას, ავტოგრაფებს რომ არიგებდა, უცნობმა სახეში ქინძისთავი გაურჭო.

და მაინც მისი ტალანტით აღფრთოვანებული უფრო მეტია. „ნაიკი" მზადაა გადასინჯოს ვუძთან დადებული ხელშეკრულება, გოლფის სათამაშო აღჭურვილობის მწარმოებელმა „ტიტლეისტმა" 20 მილიონი დოლარი გაიღო, „ამერიკენ ექსპრესმა" — 30.

გაზაფხულზე მასთან ხელშეკრულებას აფორმებდა მსოფლიოში ცნობილი საათების მწარმოებელი ფირმა „როლექსი".

დღემდე მსოფლიოში არც ერთ სპორტსმენს ასეთ მოკლე დროში არ მიუღწევია ასეთი წარმატებისათვის. ყველა გამარჯვებულს არ ძალუძს სუპერვარსკვლავობა. მას მხოლოდ ის მიაღწევს, ვინც თავის შესაძლებლობას გადააჭარბებს და შეძლებს გაცილებით მეტს. მან უნდა აღაფრთოვანოს ხალხი, მიიზიდოს თავისკენ და სტადიონზე. გულშემატკივარი გმირებზე იმიტომ ლოცულობს, რომ მათში საკუთარ თავს ხედავს პოტენციურ რეკორდსმენად და განსაკუთრებით აღმერთებს მათ, ვინც არაფრისაგან აღზევდა. როგორც, მაგალითად, ვუძი, რომელმაც სამი წლისამ აიღო ხელში გოლფის სათამაშო ყვანჯი. მამამისს, ეროვნული არმიის ოფიცერს, ბავშვს გოლფს რომ ასწავლიდა, აზრადაც არ მოსვლია ნაშიერის რაიმე კარიერა. მაგრამ ერთი წლის შემდეგ ტაიგერის მიერ გაგზავნილი ბურთები უკვე აღწევდა მიზანს, ხუთი წლის ბიჭუნა კი მიიპატიჟეს სატელევიზიო შოუზე, რომელშიც განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვები მონაწილეობდნენ. ამ პროგრამის ბევრი გმირი „ნიჭიერ ბავშვად" დარჩა მხოლოდ, ვუძი კი რამდენიმე წლის შემდეგ მსოფლიო რეიტინგლისტში პირველი იყო, ამასთან, — ყველაზე ახალგაზრდა გოლფის ისტორიაში.

დღეს, ვისაც სურს ნიადაგ დატკბეს ტაიგერის ხელოვნებით, არც მეტი, არც ნაკლები, მილიონი დოლარი უნდა გადაიხადოს აბონომენტის შესაძენად. და ასეთები არც თუ ცოტანი არიან. მაგალითად, „ნაიკის" ფირმის ბოსი ფილ ნაითი: „წილად არ მხვდა ბედნიერება თვალი მედევნებინა, როგორ ხატავს თავის სურათებს მანე, სამაგიეროდ, მინახავს საქმეში თვით ვუძი".

ამასობაში ბრიტანელი ბუკმეკერები ლონდონში უკვე ღებულობენ ფსონებს იმის გამო, გახდება თუ არა ყვანჭიანი ზანგი 50 წლისა აშშ-ს პრეზიდენტი.



## ჭადრაკი

# ანანდი, რა თქმა უნდა, პირველია

ანანდი, რომელმაც 1997 წლის შედეგებისთვის „საჭადრაკო ოსკარი" მიიღო, ეტყობა, ამ ფრიად საპატიო ჯილდოს წელსაც დაიმსახურებს. მან ხომ 1998 წელს არაერთ პირველხარისხოვან შეჯიბრებაში გაიმარჯვა.

აი, ტილბურგის სუპერტურნირის შედეგები. ვიშვანათან ანანდმა დაუმარცხებლად წარმართა მთელი ასპარეზობა და 11 შესაძლებლიდან 7,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. იგი მთელ შეჯიბრებას მტკიცედ ლიდერობდა, 4 პარტია მოიგო და 7 ყაიმით დაასრულა. ბევრი ყაიმია? შესაძლებელია, მაგრამ ასეთი შედეგი პირველი ადგილისათვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა.

არც მეორე ადგილზე გამოსულ პეტერ ლეკოს ჰყავდა სერიოზული კონკურენტი. მან 7 ქულა მოაგროვა, სძლია კრამნიკს, ტოპალოვსა და ადამსს. ფრიად დამაჯერებელი შედეგია, ლეკო ხომ სულ 19 წლისაა.

6-6 ქულით III-V ადგილები გაიყვეს ახალგაზრდა მოსკოველმა ვადიმ ზვიაგინცევმა (რაც მისთვის დიდი მიღწევაა!), ვლადიმირ კრამნიკმა (ვერაფერი შედეგია!) და ახალგაზრდა ინგლისელმა მეტიუ სადლერმა (ფრიად პერსპექტიული დიდოსტატია).

5,5–5,5 ქულა მოაგროვეს მაიკლ ადამსმა (ინგლისი) და იერუნ პიკეტმა (ჰოლანდია), 5-5 ქულა – ლიუკ ვან ველიმ (ჰოლანდია) და რუსეთის სამგზის ჩემპიონმა პეტრე სვიდლერმა (რომლის თამაშიც დაახლოებით ასე შეფასდა: „მდიდარსართმევს, ღარიბს აძლევს!"), 4,5 – 4,5 ქულით დაასრულეს შეჯიბრება ჟოელ ლოტიემ (საფრანგეთი) და ვესელინ ტოპალოვმა (ბულგარეთი). 3,5 ქულით ბოლო ადგილი დაიკავა 67 წლის ვიქტორ კორჩნოიმ (შვეიცარია). არც ამაშია რაიმე გასაკვირი.




**10 ნოემბერი, სამშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** ავტოსპორტი (20.55). იბერია. „ბურთი და მოედანი" (9.45; 21.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ჰოკეი. ევროლიგა (0.30). ***PTP.*** ფეხბურთი. რუსეთის თასი. 1/8 ფინალი: „დინამო" (მოსკოვი) – „ალანია" (ვლადიკავკაზი, 17.55). ***TB центр.*** ჩოგბურთი. კრემლის თასი (12.05; 19.55). ***RENTV.*** „სპორტკურიერი" (20.45; 23.30). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე" (14.05; 21.40). ***HTB плюс спорт.*** საჭადრაკო გაკვეთილი (7.05; 16.45). ამერიკული ფეხბურთი (9.40; 17.50). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (12.35; 21.55). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (20.05); ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მიმოხილვა (1.35). ***ESPN.*** ამერიკული ფეხბურთი (3.30). სპორტული ცენტრი (4.00; 8.00-14.00; 20.30; 1.00). ***EUROSPORT.*** რაგბი. მსოფლიოს თასი (10.30). ფეხბურთი (12.30; 13.30; 17.45; 1.00). სუპერკროსი (15.00). ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (16.00; 19.00; 20.45; 21.00; 3.00). კრივი (23.00). ველოსპორტი 2.00).

**11 ნოემბერი, ოთხშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** „გოლი" (20.55). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.45; 21.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.55). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ჰოკეი. ევროლიგა (11.00). ***TB плюс центр.*** ჩოგბურთი. კრემლის თასი (12.05; 19.55). ***RENTV.*** „სპორტკურიერი" (20.45; 23.30). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე" (14.05; 21.40). ***HTB плюс спорт.*** ანდრე აგასის საჩოგბურთო გაკვეთილი (7.05; 17.40). ჰოკეი (7.45; 21.15). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (10.10). ჩემპიონთა ლიგა: „დინამო" (კიევი) – „არსენალი" (ლონდონი) – 12.35. კალათბურთი. ევროლიგა (17.55). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (19.40; 0.10). ამერიკული ფეხბურთის ფან-კლუბი (23.30). ***ESPN.*** ამერიკული ფეხბურთი (2.00). სპორტული ცენტრი (4.00; 8.00-14.00; 20.30; 1.00). საცხენოსნო სპორტი (15.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (10.30). ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (12.00; 16.30; 20.00; 21.00; 3.00). ჩოგბურთი (14.30; 15.00; 17.45). ბოულინგი (23.00). კრივი (1.00). მოტოსპორტი (2.00).

**12 ნოემბერი. ხუთშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.45; 21.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.05). ***რუსეთის ტელევიზია. PTP.*** მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში (16.30). ***TB центр.*** ჩოგბურთი. კრემლის თასი (12.05; 19.55). საცხენოსნო სპორტი (11.15). კალათბურთი. ევროლიგა (1.15). ***RENTV.*** „სპორტკურიერი" (20.45; 23.40). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე" (14.05; 21.40). ***HTB плюс спорт.*** ბოდიბილდინგის გაკვეთილი (7.05; 15.10). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (8.15). კალათბურთი. ევროლიგა (9.15; 19.55). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (12.35). საცხენოსნო სპორტი (15.25). ლათინოამერიკული ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა (19.30; 23.35). ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები (21.50). ***ESPN.*** ნბა-ს საუკეთესო მატჩები (3.30). სპორტული ცენტრი (4.00; 8.00-14.00; 20.30; 1.00). ამერიკული ფეხბურთი (22.00). ***EUROSPORT.*** ჟურნალი „აფროსნობა" (10.30). ველოსპორტი (11.00). მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში (12.00; 20.00; 21.00; 3.00). ჩოგბურთი (18.00). კრივი (0.00). ფეხბურთი (1.00).

**15 ნოემბერი, პარასკევი**
***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი" (23.00). IIარხი. რაგბი (20.55). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.45; 21.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***რუსეთის ტელევიზია. PTP.*** მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში (16.30; 0.45). ***HTB.*** საფეხბურთო კლუბი (17.30). ***TB цетр.*** ჩოგბურთი. კრემლის თასი (12.05; 19.55). ***RENTV.*** „სპორტკურიერი" (20.45). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე" (14.05; 21.40). სპორტული დრამა „უკანასკნელი ამერიკული გმირი" (18.50). ***HTB плюс спорт.*** საჭადრაკო გაკვეთილი (7.05; 15.10). ლათინოამერიკული ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა (7.45). კალათბურთი. ევროლიგა (8.10). სპორტული ტანვარჯიში (10.00). „ევროპის საფეხბურთო კლუბი" (12.35). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (15.25). ჰოკეი (17.20; 18.20). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (21.55). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (4.00; 8.00-14.00; 20.30; 1.00). ამერიკული ფეხბურთი (5.30). კლასიკური კალათბურთი (21.30; 0.00). ***EUROSPORT.*** გასართობი სპორტი (10.30). ბობსლეი (11.00). ძალოსნობა (12.00; 16.30; 18.30; 20.15; 22.00). ჟურნალი „მოტოსპორტი" (14.00). ჩოგბურთი (15.00; 17.45; 20.30). კრივი (23.00). ექსტრემალური სპორტი (0.00; 2.00).

**14 ნოემბერი, შაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** „ავტოსპორტი" (20.10). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.45; 21.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***ევრიკა.*** „სტუმარი" (20.00). ***რუსეთის ტელევიზია. PTP.*** მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში (1.10). ***HTB.*** ჰოკეი (13.00). ***TB центр.*** ჩოგბურთი. კრემლის თასი (11.00; 15.00). ფეხბურთი ჭაალოგებში (14.30). ***REN TV.*** სპორტული მიმოხილვა (19.15). ***ACT.*** სპორტული პროგრამა (20.35). ***HTB плюс спорт.*** ანდრე აგასის საჩოგბურთო გაკვეთილი (9.40; 15.45). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (9.55). ჰოკეი (13.00; 18.20). ამერიკული ფეხბურთი (20.35). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (22.55). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (4.00; 12.00; 20.30). ფეხბურთის ახალი ამბები (8.00). ამერიკული ფეხბურთი (21.30). მსოფლიო ჩემპიონატი ჭ...აის ფეხბურთში (1.30). ***EUROSPORT.*** ექსტრემალური სპორტი (10.30). ბობსლეი (12.00). ჩოგბურთი (13.30; 15.00; 16.30; 18.30). მსოფლიო ჩემპიონატი რაგბში (18.00). მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში (21.00, 22.00).

**15 ნოემბერი, კვირა**
***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი: „დინამო" (თბილისი) – „დილა" (გორი) 14.00. ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.45). ***კავკასია.*** „ფეხბურთის ლეგენდები" (15.45). „ვარსკვლავები" (18.00). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.15). ***ევრიკა.*** კვირის სპორტი (17.10). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** საფეხბურთო მიმოხილვა (16.05). ***PTP.*** მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში (0.00). ***TB центр.*** ჩოგბურთი (13.30). ***RENTV.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერ ლიგა (15.30). „სპორტკურიერი" (20.45). ***ACT.*** „სპორტი" (20.35). ***HTB плюс спорт.*** ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (9.55). ჰოკეი (12.50; 19.15). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (16.25). ავტოსპორტი (22.05). საცხენოსნო სპორტი (23.00). ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (4.00; 12.30; 21.00; 1.30). ფეხბურთის სალამო (22.15). ***EUROSPORT.*** სუპერკროსი (10.30; 19.00). ბობსლეი (12.00; 16.00; 20.00). ჩოგბურთი (13.30; 17.00). მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში (15.00; 21.00; 2.30). კრივი (0.00). კარტინგი (1.00).


## „ტოტო-ლოტო" – მოთამაშეთა სიხარული!

*8 ნოემბერს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის ოცდამერვე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:
**6. 8. 23. 24. 30. 37**
6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.
5 ციფრი – 309.50.
4 ციფრი – 19.40 ლარი.
3 ციფრი – 1.50 ლარი.

**„ჯეკ-პოტი" 31 239 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**„სუპერ-7"**-ის მომგებიანი ციფრებია: **9. 6. 0. 3. 9. 9. 6.**
**შემდეგი** ტირაჟი შედგება 15 ნოემბერს, ჯეკ-პოტი **31 239** ლარი.
***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი


საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი თანაუგრძნობს ბიძინა ბარათაშვილს დედის, საქართველოს სახალხო არტისტის

მედეა ძიძიგურის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი მომღერლის, საქართველოს სახალხო არტისტის

მედეა ძიძიგურის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

გაზეთ „ლელოს" რედაქციის თანამშრომლები ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ კოლეგას, ცნობილ სპორტულ ჟურნალისტს და კომენტატორს ბიძინა ბარათაშვილს დედის

მედეა ძიძიგურის

გარდაცვალების გამო.

## შერეული კროსვორდი

**თარაზულად:** 5. გამოკვეთილი თავდამსხმელი სპორტის სათამაშო სახეობებში, 6. ქართული ჭიდაობის ილეთი, 8. ფეხბურთელი — ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი *(ფოტო)*, 11. სამხედრო შენაერთი, 14. ფეხბურთელი — მოლდავეთის ნაკრების თავდამსხმელი, 15. ვეფხისტყაოსნის პერსონაჟი, 16. დაბა ჯავის რაიონში, 17. ალბანეთის დედაქალაქი, 21. ბრწყინვალე გამარჯვება და მისით გამოწვეული ზეიმი, 22. ცნობილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი 60-70-იან წლებში, 23. გეზი, მიმართულება შეჯიბრებაში, 26. წამალი — საგულე საშუალება, 27. თამაშის ბოლო სტადია ჭადრაკში, 28. საჭადრაკო ფიგურა.



**შვეულად:** 1. სპორტის სახეობა, 2. ძვირფასი მინა, 3. ნახტომი ტრიალით, 4. გამოცდილება, დახელოვნება რაიმე საქმეში. 7. უბედური შემთხვევა, მანქანის ნაწილის დაზიანება, 9. ფეხბურთელი, პარაგვაელთა მეკარე *(ფოტო)*, 10. მოკლე მანძილზე მორბენალი, 12. სპორტსმენის ზედა სამოსი, 13. სპორტული ასპარეზობის დასკვნითი ეტაპი რჩეულთათვის, 18. შეჯიბრებაში გამარჯვებული, 19. მუსლიმანთა რელიგიური წიგნი, 20. არგენტინის ყოფილი საფეხბურთო-მწვრთნელი, 24. ლუგანსკის საფეხბურთო გუნდი, 25. დადებითად დამუხტული ელექტროდი.


8


9

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. ქანთარია, 6. ხაბარელი, 9. კანდელაკი, 11. იდილია, 12. იონკი, 14. ანდორა, 18. „ივერია", 20. „იმოლა", 21. „ომონია", 22. არკადიევი, 23. ივერიანი, 24. „კლიპერსი".

**შვეულად:** 1. „ოქლენდი", 2. კანკია, 3. კანიჯა, 4. სინიორი, 7. დეინა, 8. კალათბურთი, 10. ბადმინტონი, 12, ილიადი, 13. „იბერია", 15. გვარდიოლა, 16. „ბორდო", 17. ნიგერია, 19. „ალანია", 21 „ოლიმპი".

## საჭადრაკო ამოცანა

ი. ბუშმინი
(რუსეთი)



**შამათი 3 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. მh-g1 მფh2 6. მf3+ მფh3
2. მფc7 მფh1 7. მe-g1 #
3. მფd6 მფh2 6. ...მფh1
4. მფe5 მფh1 7. მg3#
5. მფf4 მფh2

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე